# № 10—წიგნი მეათე.

სიტყუა კნინ მცირე გლახაკ გონებისა ნოემბერ. კა, ტაძრად მიყვანებისათჳს ყოვლად წმიდისა, სწავლითი ქადაგება ერისა მიმართ, სულო ყოვლად წმიდაო შემეწიე ნეკრესელს ამრვოსის:

ღ̂უთის-მოყვარებით შემოკრებულნო კეთილ-მორწმუნენო მსმენელნო, ისმინეთ გონებითა შინაგან ცნობიერთა, და იხილეთცა გრძნობადისა თვალისა მიხედვითა, და სასოებით დაინახეთ დღეს შემოკრება ესე ღ̂უთივ სადიდებელი. რომელსა ღ̂უთივ ბრწყინვალედ ღაღადებს წმიდაჲ ეკკლესია ღ̂უთისა დედისა დღე სასწაულსა. რომელიცა დროსა სიყრმისასა ტაძარსა შინა ღ̂უთისასა შეწირულ-იქმნა მართალთა მათ მშობელთა მისთაგან იოაკიმ და ანნასა: და ჟამსა იდ წელსა, მასვე ტაძარსა შინა ახარებდა ანგელოსთა მთავარი გაბრიელ, და ეტყოდა ვითარმედ „სული წმიდაჲ მოვიდეს შენზედა, და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ," ვითარცა დასწერს ლუკა, თავსა, 1, 31, სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა, წმიდისათა ამინ:

ამისათვის პირველად სამი რაჲმე აზრი გამოვიძიოთ: ერთად ვითარმედ ვინაჲთ იყ̂უნენ შთამომავალნი მშობელნი მისნი, და ანუ ვითარნი: მეორედ საშოთგან განწმენდით დასახვისათვის ყოვლად უხრწნელისა ქალწულისა: და მესამედ ტაძრად აღყვანებისათჳს მართალთა მათ მშობელთაგან, და შეწირვისათჳს ღ̂უთისა,

პირველად თუ ვიეთ იყვნენ და ვინაჲთ მშობელნი დედისა ღ̂უთისა ქალწულისა მარიამისნი: ამათთჳს ესრეთ ვთქ̂უთ ვითარმედ

მრავალთა წმიდათა ძველთა და ახალთა პირნი ესრეთ მოგვითხრობენ რომელ დავითის თესლისა და შთამოობისაგან აღმოსცენდა წმიდაჲ ქალწული მარიამ, ვითარცა წინასწარმეტყუელებს ვითარმედ „გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესა, და ყუავილი ძირისაგან აღმოჴხდეს: გარნა, ვინმე არს კუერთხი იგი, და ვინაჲთ და სადაჲთ არს ჩი საღმრთო მეთქვნო, და ანუ ვინმე არს ძირისა მისგან დიდებულისა აღმოცენებული იგი? ამით მიგვასწავებს ჩუენ ლუკას მიმართ საღმრთოჲსა მახარებელისა ხელოანისა მის მკურნალისა. რომელი ესრეთ დალადებს, ვითარმედ „იესებისა, ელისა, მელქისა, მატათანისა, და ლევისა: ხოლო ლევისა ამისაგან მელქი იშვა, და პანთერ, და პანთერისაგან კარპანთერ იშვაო: ხოლო კარპანთერის ნაშობთაგანი იყო, იოაკიმ რომლისაგან აღმობრწყინდა ყოვლად უხრწნელი დედა ღჳთისა ქალწული მარიამ: ამით ვიდრემე საცნაურ იქმნა, ვითარმედ მართალი იგი, მამა ყოვლად წმიდისა იოაკიმ, დავითისით-შთამოებდა ტომისაგან სამეუფოჲსა, ვითარ იგი წინასწარმეტყუელებს დავით ფსალმუნსა შინა „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა, და არა შეურაცხყო იგი:

არამედ არა სოლომონისაგან, არამედ დავით წინასწარმეტყუელის ძისა, ნათანის ნაშობთაგანი: ვითარ იგი კეთილ განმარტებით აღწერს მაქსიმე აღმსარებელი, და სხვანიცა უსამღთოესნი მამანი, ვითარმედ ანნაცა დედა იგი ღჳთის-მშობელსაო სამღუდელოსა ტომისაგან იყო მატათან მღუდელისა ასული:

ესე მატათან მღუდელი ბეთლემს მკჳდრობდაო, და ესვა ასულნი სამნი, მარიამ, ლოდი, და ანნა: მარიამ, და ლოდი მერვე ბეთლემს დაწინდულჰყო, ვინაჲცა მარიამისგან იშვა ელისაბედ, დედა ნათლის-მცემლისა იოვანნესი: და ლოდისაგან იშვა სალომე, მზარდული უფლისა იესოსი:

ხოლო ანნა, ნაზარეთს შინა მითხოვილ-იქმნა, რომლისაგან აღმობრწყინდა, დედა ღჳთისა ქალწული მარიამ: და ესე საცნაურ იყავნ ესრეთ მეშვთათჳს ქალწულისა ყოვლად წმიდისა მარიამისთა:

ვითარმედ დავითის ტომისაგან არს შთამომავალი:

და აწ ვითარებათათჳს წმიდათა მათ მართალთათჳს ვისმინოთ:

ამისთჳს წმიდანი წერილნი მოუთხრობენ, ვითარ მართალნი და წმიდანი იყვნენ იოაკიმ, და ანნა: ესენი იყვნენ ღჳთის-მოყვარენო, უბიწონი, წმიდანი, და მართალნი: და განწმედილნი ყოვლისაგან ვნებულ მოყვარებისაგან ბიწისა: მარადის მხნენი, და მოღვაწენი, ლოცვისათჳს და მარხვისა: მტკიცენი საღმრთოსა სჯულისა: და კეთილსა მცნებასა ზედა განსწავლულნი:

ხოლო ამასთანა ფრიად მდიდარნიცა იყვნენ სულითა და ხორცითა: კეთილითა ცხოვრებითა ქონებულნი: და სიმდიდრისა მათისაგან, სამ ნაწილად განჰყოფდენ ყოველთა მონაგებთა მათთა: პირველად შესწირევდენ ღმერთსა და მიართმევდენ ტაძარსა ღჳთისასა: მეორედ მიართვემდენ მღჳდელთა მსახურთა ტაძრისათა: და ეგრეთვე გლახაკთა, და დავრდომილთა განუყოფდენ: და მესამე სახლეულთა თჳსთა კეთილად სახმარად გამოიზრდებოდენ, რამეთუ ესრეთ იყო ცხოვრება მათი: მოუთხრობს ძველი, და ახალი წერილი რომ შვილი არა ჰყვანდათო, და ბერწნი და უშვილონი იყვნენო: და ამაზედ დიდად მწუხარებდენო რომ ძველში უშვილოება დიდად საუკვედრებელი იყო რომ შესაწირავსაც არ შეიწირევდენ უშვილოთაგან, და შვილიერება დიდად საქებელი იყო, ესე ვითარცა აჴრდილი ძველი განწესება იყო:

მაშინ დღესა ერთსა დღესასწაულის ჩჳეულება ჰქონდა სატფურებისა, აღისწრაფეს მართალთა მათ იოაკიმ, და ანნა, და მიიწიენ იმ დღესასწაულს ვედრებისა და ლოცვისათჳს: და ევედრებოდენ მხურვალითა ცრემლითა, და ითხოვდენ ღჳთისაგან მოწყალებასა უკეთუ წყალობა ჰყოს ღმერთმან, და მიეცეს შვილი, აღუთქვან ღმერთსა შესაწირავად:

მაშინ ინება მოწყალებამან ღჳთისამან, და მოუვლინა ანგელოსთ მთავარი გაბრიილ, და ნუგეშინისცემით ესრეთ ეტყოდა: ჰო ანნა მართალო, და ღჳთისა მიმართ მვედრებელო. ნუ მწუხარებ უშვი-

ლოებისათჳს: მოიხსენე სარრა ცოლი აბრაამისი ყ წლისა ბერწი, და შვილად მშობელ ისაკისი, მოიხსენე რებეკა პირველ უშვილო, და შემდგომად მშობელი იოსებისა:

კვალად მოიხსენე სამფსონ და სამოელ, ამათნი მშობელნი პირველად ბერწნი, და უშვილონი, და შემდგომად შვილიერნი მადლითა ღ̂თისათა: და აწ შენცა წარვედ სახლად შენდა, და მოწყალებითა, და განგებითა ღ̂თისათა მოგეცეს შვილი, რომელი იგი გამორჩეულ არს ღ̂თისა მიერ, და უწოდე მას სახელი მარიამ, რომელი განმანათლე-ბელად გამოითარგმანების. ვინათგან იგი განანთლებს ბუნებასა კაცთასა, რამეთუ ესე არსო ხარება ესე ჩემი:

მაშინ მსწრაფლ აღსდგა, და მოვიდა სახლად თჳსად მართალი ანნა მშობელი ქალწულისა ყოვლად წმიდისა, და მიეცა მოწყალებითა ღ̂თისათა სანატრელი და ყოვლად წმიდაჲ ესე ქალწული მარიამ, და იზრდებოდა ზეგარდამოთა განგებითა, და ესე პირველისა სიტყჳსათჳს:

აწ მეორისა სიტყჳსათჳს ვიტყოდეთ, საშოთგან განწმედით დასახვისათჳს ყოვლად ბიწ-შეუხებელისა ქალწულისა:

ამისთჳს თუმცა მრავალი გამოძიება არს მორწმუნეთა: არამედ ვირწმუნოთ ჭეშმარიტებით რომელ, მრჩობლ-გზის განწმიდა ყოვლად წმიდა და სანატრელი ესე ქალწული, ყოვლად წმი-დამან სულმან: პირველად საშოდგანვე განწმედითა. რომელ და-ისახა რა სული იგი სიტყჳერი, და გონიერი, მართალსა მას საშოსა შინა ანნასა, მიერითგანვე და მყის ყოვლისა ვნებისა და ცოდვის შეხებისაგან, ყოვლითურთ თავისუფალი იპოვა, რამეთუ სული ღ̂თისა ჰფარვიდა მას, დაღა თუ თესლოვნებათაგან ხორციელთა იყო, არამედ არს ქმნასავე შინა და დასახვასა შინა მისსა, განწმიდა იგი ყოვლად წმიდამან სულმან, რამეთუ არა ძალედვა სჯულსა ცოდვისასა, და ასოსა ვნებათასა მოქმედებად მის შორის: ვითარცა მიწამებს მე ამას ზედა, და დასწერს წმიდაჲ მოციქული თომა, შემუსრვისა ძლიითსა შინა სიტყჳსა, ვითარმედ „ჰი ქალწულო რომელი დასაბამთა შინა გზათა შენთასა გამორჩეულ-იქმენ, და უწინარეს ცნობილი, არა დასხა-

ტულ-ხარო ცოდვასა შინა, ადამისა: და ეგრეთვე წმიდაჲ მოციქული მატთა დასწერს: ჰოი სანატრელო ქალწულო არა დახატულ-ხარო ცოდვასა შინა, არამედ მარადის სავსე იქმენო მადლითა სულისა წმიდისათა, და მადლისა სიბრძნითა:

ხოლო მეორე იგი განწმედა-ყოვლად წმიდისა სულისა მიერი გარდამოეფინა მის ზედა, რომელსაც ჟამსა დროსა, და წელსა იდ ტაძარსა მას შინა ღ̂თისასა, ეტყოდა რა და ახარებდა ანგელოსთა მთავარი გაბრიელ ვითარმედ „სული წმიდაჲ მოვიდეს შენზედა, და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ: მაშინ უმწვერვალესითა, და უაღმატებულესითა განწმედითა განწმიდა იგი რომელ ყოვლითურთ აღმოფხვრილ-იქმნა ყოველისაგან შეკრულებისა სჯულისა ცოდვათა ასოთასა შინაგანითა და გარეგანითა, ყოველთა, და ნასხამთა ნაწევართა მისთაგან, რომელ არა ძალედვა, არცა სასიკვდინესა, ცოდვასა, და არცა შესანდობელსა რასამე ზედშესრულსა ვნებულებასა შეხებად მისა, ბრძნისა-მებრ სოლომანისა ვითარმედ, ყოვლადვე ბიწი არა არსო შენთანა, და კვალად დიონისისა-მებრ კარტუზიანელისა ვითარმედ ცოდვა იგი პირველი არა შეგეხოო, და რა საკვირველ-არს ესე, ვითარმედ უკეთუ ორნი იგი მონანი, საშოთგან განწმედილ-იქმნენ, ძველსა შინა იერემია, და ახალსა შინა ნათლის-მცემელი, არა უფროსღა შესაწყალებელ-არსა ღ̂თისა მიერისა დედად გამორჩეულისა, ქალწულისა ყოვლადვე ბიწ-შეუხებლობით წმიდაჲ-ყოფა, და საშოთგანვე განწმედა, ვითარცა წინასწარ-მეტყველებს მისთჳს დავით და ღაღადებს, ფსალმუნსა შინა, ვითარმედ:“ წმიდა ჰყო საყოფელი თჳსი მაღალმან, ღმერთი მის შორის, და იგი არა შეიძრას: და ესეცა კმა იყავნ მეორისა სიტყვისათჳს:

ხოლო აწ უკუე მესამისა მის საძიებელისათჳს ვიტყოდეთ, თუ ვითარ აღიყვან ეს ტაძრად უბიწოჲ წმიდაჲ ესე ქალწული, და შესწირეს უბიწოჲ მართალთა მშობელთა: ამისთჳს ესრეთ წერილ-არს ვითარმედ, ოდეს იქმნა რა სამისა წლისა ყოვლად წმიდაჲ ქალწული მარიამ, მაშინ წმიდათა და მართალთა იოაკიმ, და ანნა, მოუწოდეს მეგობართა, და მახლობელთა თჳსთა, და ღ̂თისა მიმართი შეწირვა

განუცხადეს ყოველთა, და ყოველთათჳს განუმზადა და დაუგო სერი საზრდელისა, და ყოველნივე მოხარულებდენ შვილიერებისა მათისა-თჳს, ვინათგან საყუედრებელ იყო უშვილოება ძველთა შინა: აღის-ხრავეს ყოველთავე კერეონებითა და ლამპარ სანთელ აღნთებითა, წინა წარუძღვნენ, და კვალად დღესასწაულსა სატფურებისასა მიიყვა-ნეს ტაძარსა შინა წმიდაჲ ქალწული მარიამ, და ვითარ ჩუეულება აქჳნდათ, მსწრაფლ მოეგება მღდელ-მთავარი ზაქარია, აკურთხა და ლოცვა ჰყო მასზედა, ვედრებითა ღმრთისაჲ მიერითა, შეიყვანეს ტაძ-რად, და შესწირეს ღმრთისა მიმართ ხმითა სახარულევანითა, და მი-ერითგან ანგელოსი ღმრთისაჲ სცვიდა, და ჰფარვიდა, და თჳთ მღდ-დელთ-მთავარსაც მას ანგელოსი გამოეცხადებოდა, რომელ იგი არს სდაფა-რულ, და ღმრთისა მიერ გამორჩეული, და იგი სწვრთიდა ყოვლითა ღმრთივ სულიერითა სწავლითა: დღითი, დღე ლოცვითა და მარხვითა, სიმდაბლითა, და სიმშვიდით ვიდრე ათოთხმეტსა წელსა ესრეთ აღესრულებოდა წელნი, და დღენი მისნი, ვიდრემდის ანგელოსთა მთავარი გაბრიელ გარდამოვიდოდა ზეცათ, და ახარებადა ძ ეტყოდა ვითარმედ ჰოი ქალწულო მარიამ გიხაროდენ, რამეთუ სული წმიდაჲ მოვიდეს შენთანა, ძალმან საუკუნომან მოიწონა და სათნო იყო და ასულად თჳსად გამოგირჩია, და ყოვლად წმიდამან სულმან სძლად გამოგირჩია რამეთუ ყოვლითურთ განწმედილ, და ბიწ-შეუხებელ ხარ შენ, და მე ღმრთისაჲ მხოლოდ შობილი ყოვლად განწმედილსა მაგას გვამსა შორის შენსა ხორციელად დაემკვიდრების, ვითარცა არს ჭეშმარიტად და იქმნა დედად უფლისა ჩემისა იესო ქრისტესი ჭეშ-მარიტად ღმრთის-მშობელი, ჭეშმარიტად მეოხი, და შესავედრებელი და მცველი და მფარველი ყოველთა მორწმუნეთა თჳსთა:

ამისთჳს ჩუენცა მორწმუნენო ღმრთის-მშობელისანო, ვითარცა აღიყვანეს ყრმა ქალწული მარიამ მართალთა მშობელთა მისთა, და წარუძღვნენ მორწმუნენი და მოსავნი მისნი და შესწირეს უბიწო, ჩუენცა იმათთან, თან მივყვენეთ სიყვარულით სიმდაბლით, და სიმარ-თლით, და თანა-ვყვებოდეთ, და თან ვახლდეთ, და ვმსახუროთ ყოვ-

ლად წმიდას ქალწულსა: სამოთხესა სულიერსა ედემისასა, რომლისაგან აღმოეცენა უფალი იესო ქრისტე, წყარო იგი ცხოვრებისა, განყოფილი ოხ მდინარედ მახარებელად:

ნოეს კიდობანსა, ღ̃ჳთისა მიერ დაკრძალულსა, რომელსა შინა ვითარ იგი დაიფარნეს, და განერნეს წარღვნისა და დანთქმისაგან, ეგრეთვე ქალწულისა ამის მიერ განვერენით საცთურისაგან ბელიარისა, და გამოვიხსენით კერპთა მონებისა და დანთქმისაგან:

მაყვალსა შეუწველსა, რამეთუ ნათლითა ღ̃ჳთაებისათა, საღმრთოთა იგი ცეცხლი აღტყინებულ-იქმნა მის შორის, და დაემკვიდრა, და ყოვლად საკვირველებით არა შეწვა, და ყოვლად განუხრწნელად დაიცვა და ბიწ შეუხებელ-ჰყო:

კიდობანსა აღთქმისასა, რომელმან ცათა დაუტევნელი იგი ღმერთი დაიტია, და მანანათა სიტკბოებისათა გამოზარდა ბუნება კაცთა:

სასაკმეველსა მარად საუკვდავოდ სუნნელებისა მყნოსებელსა, და ალაბასტრად, და მურად და იაკინთად, და უსასყიდლოდ მარგალიტად სახელდებულსა:

ხესა ულპოლველსა, და ფურცელსა ბორობან მრავალ გარდაფენილ დაუჭკნობელსა, და დამაჩრდილებელსა კაცთა ბუნებისასა, ჴორშაკითა ცოდვისათა შემწვარსა: პორფირსა სამეუფოსა, პალატსა ღ̃ჳთის შესაკრებელსა: გვირგვინსა ღ̃ჳთაებისა ნათლითა მოოჭვილსა, საკვირველად მოქმნილსა:

ბისონსა ღ̃ჳთივ ქსოვილსა, და ზეთსა საღმრთოთა მადლითა ცხებულსა: და მირონსა სულისა მიერ წმიდისა ნიჭებულსა, და მორწმუნეთაცა თჳსთა მადლითა დამბეჭდველსა:

ნათლიერსა ღრუბელსა უზრუკილოსა: მზესა მრავალ-ბრწყინვალედ დაუვალსა, და მთოვარესა თვალებ მტკივანთა ცოდვილთა კურნებისა მომნიჭებელსა:

ყოვლად წმიდასა, ყოვლად კურთხეულსა, ყოვლად დიდებულსა, ცათა და ქ̃ჳყანისა დედოფალსა, სერაფიმთა და ხერუვიმთაგან თაყვანის-ცემულსა, დედასა უფლისა ჩ̃ჳნისა იესო ქრისტესსა. მორწმუ-

ნენო ყოვლად წმიდისა ამის ღ̃უთის-მშობელისანო და ამის მხოლოდ შობილის ძის იესო ქრისტეს თაყვანის-მცემელნო, უკეთუ ესენი გიყვარან და გვრწამს, და ვსასოებთ რაც ამათ უყვარდესთ, და ესენი გვიბძანებენ, ჩ̃უენც ისინი უნდა დავიჯეროთ გვიყვარდეს:

კვირასა და უქმეს-დღეს წირვა და ლოცვა უნდა გვიყვარდეს, და მოვისმინოთ, და სეფისკვერი ავიღოთ: ეს დღეები არ უნდა გავტეხოთ, და არ უნდა ვიმუშაოთ: წელიწადში ერთხელ მაინც უნდა აღსარება სთქვათ და ეზიაროთ. და თუ ორი, სამი, და ოთხი და ხუთი წელიწადი გამოვიდა ღმერთმან ნუ ინებოს, და წმიდა საიდუმლო არ მიიღევით, რა ვქნა ყოველს ჩემს სამწყსოში თჳთო სწავლა ქადაგება შემიმზადებია, არ უნდა მოგეფერო, არც ამაზედ თქ̃უენგან უნდა შევიშინო: ვეღარც სიკვდილის დღეს გაზიარებთ, და არც მღ̃უდელს დაგამარხვინებთ იცოდეთ და იცოდეთ მომიხსენებია და ბძანების ადგილიც მაქვს:

მშობლებმა თქ̃უენი შვილები ღ̃უთის მოშიშებით უნდა დაზარდოთ თორემ ღმერთი მოგკითხავსთ, და აგრევე შვილები მამისა და დედის მონანი და მორჩილნი უნდა იყვნეთ თორემ ღ̃უთისაგან გარდაგხდებათ:

სამღ̃უდელო კაცის პატივის-ცემა უნდა იცოდეთ, გიყვარდეთ, და ურიგო არა აკადროთ რა რადგან ისინი თქ̃უენთჳს ილოცვენ და ღმერთს გავედრებენ:

უნდა! გამხილო რადგან ვალი მაქ̃უს: რომელიც მკითხავს აკითხვინებს, მანამ დიდად არ შეინანებს, და აღთქმას არ დასდებს, იმისი ზიარება არას გზით არ იქნება: კიდევ ან თილისმა თუ რამ იცის ვინმე და ან სიზმარი სწამს, და ან დასცდის რასმე, ამაებს სჯულის კანონი დიაღ დიდს კანონებსა ბძანებს, და შერისხავს:

ეგრეთვე რომელიც წმიდათ მამათაგან წერილით მარხვა მოგვცემია, ის მარხვები არ უნდა შევრიოთ თორემ შეჩვენების ქ̃უეშ შესცვივით, და ჩ̃უენ თქ̃უენი განხსნა აღარ შეგვიძლიან:

თქ̂ჳენი მეზობელი, და ქრისტიანე ძმა უნდა გიყუარდეთ, უმ-ძრახი ნუ დაადგებით თორემ ეკკლესიაში აღარ მიგესვლებათ

სხვის შური და მტერობა, დიად დიდად ღ̂ჲთის საწყენი არის, თუ გული არ გამოიბრუნეთ, და ერთმანეთს არ შეუნდევით:

სხვის პარვა, ტაცება, და დამალვა, სასუფეველისაგან დაჰკარგავს, თუ ისევ არ მისცა: და ან მუშას ფასი დაუჭირა, ღ̂ჲთის რისხვას აღძრავს:

სხვის ბოროტად შეყუარება, მაჭაკლობა, ცრუ და ბილწი ლა-პარაკი, აგრეთვე ცილის წამება და ძრახვა-განკითხვა, ცრუ ფიცი, ენის მიტანა, და თავ-საცილი, ესეები თუ არ შეინანა და ხელი არ აიღო, იმისი ცხოვრება არ იქნება:

კიდევ უნდა მოგახსენო რომ მოციქულიც დასწერს თავის მება-ტონის მორჩილება უნდა ჰქონდეს, და აგრევე მებატონეც უსამართ-ლო და უწყალო არ უნდა იყოს, თუ იმ თავისს უმცროსს მორ-ჩილებით ხედავს:

ყოვლადვე ამას წერილით და ღ̂ჲთის ბრძანებით გამცნებ, თუ ესეები ასე არ დავისწავლეთ, ცუდ არს ჩ̂ჳენი ქრისტიანობა ყველამ ასე ვიცოდეთ:

ღმერთმან თავისის მოწყალებით მოუქცეველთა და ცოდვაში მყოფთ სინანული გაღირსოსთ, და რომელნიც ამაებზედ მტკიცედ იდგეთ, ღ̂ჲთის-მშობელის მადლმა უმეტესად კეთილად განგამტკი-ცოსთ, და დაგიფაროთ, რამეთუ მისა შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა უკუნისამდე ამინ:

მადლითა ღ̂ჲთის-მშობლისათა ნეკრესელი ამბროსი 1803:

მადლითა ღ̂თისათა სწავლა ქადაგება ადამის ექსორიობისა თჳს კვი-რიაკესა: გლახაკ გონებასა შეეწიე ყოვლად წმიდაო სულო:

უსწავლელთა მასწავლელო, და სიბრძნისა მომცემელო, და გლახაკთა კლდის აღმჰყრობელო მეუფეო, განამტკიცე და განაბრძნე გული ჩემი, და მომეც მე სიტყუა სიტყუაო ღ̂თისაო, რათა ღმობიერად გიღაღადებდე, ჰი მრავალ მოწყალეო, მომეც კურნება და შემეწიე მე, სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა, წმიდისათა, ამინ:

ღ̂თისა კაცთ-მოყვარებითისა, და ჩუ̂ნდა მომართის შეწყალებისათჳს ერთისა მოწყალებითისა წინასწარ-მეტყველებასა რასამე დაღადებს დავით მამა ღ̂თისა საღმრთო წინასწარ-მეტყველი, ფსალმუნსა შინა, ვითარმედ: „არა სრულიად განრისხნეს, და არცა უკუნისამდე მძვირი იხსენოს: მოდით ღ̂თის-მოყვარენო, და საღმრთო ესე წინასწარ-მეტყველება გულის-ხმიერებით მოვისმინოთ. ვითარცა ჩვეულება არის წინასწარ-მეტყველთა თქმულთა შორის რომ რომელსამე წინასწარ-მეტყველებს საღმრთო პირი მათი წარსრულისათჳს, და გარდასრულისა საქმისა: და რომელსამე წინასწარ-მეტყველებენ მომავალისათჳსცა, და მოწევნადისა საქმისა: ვითარცა აწინდელი ესე დღეისა ამისთჳს შემოღებული სიტყვა, გარდასრულისათვისაც არის პირველისა მამისა ჩუ̂ნისა ადამის შეცოდებისა, რომელ შესცდა შეცთომითა ეშმაკისათა, დ̃ სამოთხისა შვებისა დ̃ დიდებისგან განვარდა, დ̃ შეწყალებისათვისაცა რომელ მოწყალებითა ღ̂თისათა კვალად შეწყალებულ-იქმნა ბუნება კაცთა, და არა სრულიად განრისხნა:

და ესრეთვე ჩუ̂ნისა ამის აწინდელისა შეცოდებისათვისაც წინასწარ-მეტყველებს და ნუგეშინის გვცემს რომე, თუმცა შევსცოდეთ

ღმერთსა, და მრავალჯერ ჩუ͠ენის შეცოდების პასუხსაც გარდაგვახდევინებს და დაგვანახვებს, მაგრამ რადგან მრავალ-მოწყალე და სულგრძელ-არს იმისი კაცთ-მოყვარება, კვალად შეწყალებით მოგვხედავს, და შეგვიწყალებს. ვითარცა დღეს მოვისმინეთ ტკბილი ესე ხმა წინასწარ-მეტყველისა, ვითარმედ არა სრულიად განრისხნეს, და არცა უკუნისამდე მძვირი იხსენოს: შერისხულ-იქმნა ღ͠უთისა მიერ, პირველი ამისთჳს პირველად იგი მამა ჩუ͠ენი ადამ რომელსაც დღეს წმიდაჲ ეკკლესია განგვიახლებს, და მოგვაგონებს იმის სამოთხიდამ გამოხვებასა, და მწარედ გოდებასა და ტირილსა, რომელიც დღეს აღმოვიკითხეთ ვითარმედ:" დაჯდა ადამ სამოთხისა მისგან გარე განხდილთ წინაშე კარსა სამოთხისასა, და მწარედ მტირალი შიშლოებასა თჳსსა, და სამოთხისაგან განვრდომასა თჳსსა ტიროდა, და მწარითა გონებითა ესრეთ იტყოდა, ჵიმე სამოთხეო შვენიერო, სიკეთეო, საწადელო, შვებაო, და სიხარულო, და განსვენებაო ჩემო: ვაიმე რომელ გამოვვარდი დიდებულისა, საშვებელისა შენისაგან, და დავეცი დაცემითა, მწარითა, ქუ͠ეყანასა ამას უცხოსა: მწირსა, მჭმუნვარესა, და წარმავალსა: ჵიმე რამეთუ არღარა ვიხილო მე ამიერითგან შვენიერება შენი, შვენიერი საწადელი, და სასურველი ჩემი: და ვითარმე გტიროდე, და ვიგლოვდე საწყალობელად დასჯილი, და უბადრუკი ესე: ანუ ვინლა მომცემს მე ყვავილთაგან შენთა, ტკბილ სუნნელთაგანისა ნაყოფისა განძღომა:

ვაი რა ესე რაბამ საწყალობელად დავისაჯე, და დავეცი დაცემითა განსაკრთომელითა და საზარელითა:

იცემდა მკერდსა, სულთქმიდა მწარედ, ოხვრიდა გლოვით, დამოადენდა ცრემლთა, და შიშლოებისა თჳსისასა ტიროდა, და მწარითა კვნესითა გოდებდა სამოთხისა მის გამოხვებისათჳს:

და ჩუ͠ენც რომ ეს თვალ-წინ წამოვიყენოთ, ღ͠უთისმოყვარენო, დიდად ძნელიც არის თავისის სამკვიდროს ადგილიდამ განშორება და გამოგდება რომ დიდად სამწუხარო და საგლოველი შეექნება, როგორც ადამ პირველი მამა ჩუ͠ენი სამოთხიდამ გამოეხვა: ეს ჩუ͠ენს

ქუეყანაზედაც მოიღება რომ, საქართუელო ამდენი ხანი არის უსჯულოთაგან დიაღ დიდს შეწუხებაში არის მიცემული, და მეტადრე ახლა ამ ჩუენს დროში, რამდენი სოფელი ოხრდება, და ქრისტიანობას აკლდება: საქართველო, ქართლი და კახეთიც, სხვას ქუეყნებში, ერთს რაღმე საქებლად ადგილად სხვა ქუეყნებთანაც თქმულა და ხსენებულა, და ამ ქუეყანაში ერთს მცირეს ადგილს შემოკრებული ქალაქიც ამათში დადებით და ქებით ხსენებულა, სიმდიდრით, ქონებით, სამკვიდროობით, და ამ სოფლებისა, და ქუეყნებისა ნუგეშინისცემითაც დიდებულა: მაგრამ ჩუენც ადამის სამოთხიდამ გამოხვებასავით, როგორც ეშმაკმა ადამ აცთუნა, ისე ჩვენის ცოდვისაგან ის ქალაქიც აგვიოხრდა, და ამ უწყალოთ და უსჯულოთ მტერთაგანაცა, მუდამ ჩუენნი შვილნი და ძმანიც ტყვევდებიან: და თავისის სამკვიდროს სამყოფისაგან გვეკარგებიან: რამდენი მოხუცებული მამა და დედა შვილს იგლოვს, და მწარედ კვნესის და ტირის, ვაიმე შვილო უსჯულოს ქუეყანას დაკარგულო და უსჯულოთაგან გატანჯულო, ვაიმე რას ხელობორკილითა და ხუნდითა, და შიმშილითა და შეწუხებით შენ მანდ კვნესი: და მეკი შენი შველა არ შემიძლიან, ეგების შვილო შორიდამ ასეც გველაპარაკებოდე, ვაიმე ჩემო მშობელნო, ნეტაი ამ დღისათჳს არცკი გეშობეთო, ქრისტიანობა დავკარგეთო, წმიდაო ჯვარი და ხატი გვაგმობინესო: ბორკილი და ხუნდი ეს არის მწარედ გვაწუხებსო: ჩუენს ძმასა და მეზობელს თვალით ველარ ვხედავთო, წმიდას წირვასა და ლოცვასა ველარ ვღირსენითო, და ჩუენის საყვარელის ძმისა და დის ნახვას ვინღა გვაღირსებსო, და იქნება უსახსარებო და უზიარებელნიც დავიხოცნეთო, და ნეტაი ამ დღისათჳს ჩუენო მშობელნო თქუენი მუძუც არცკი გვეწოვნაო და მაშინვე დავხოცილიყავითო:

და ახლა ამაში ვისაც საყვარელი მეუღლე ქმარი თუ ცოლი დაეკარგება, და ან ცოლი ქმარსა. ესე იფიქრეთ და გასინჯეთ რა ცეცხლის მოსადებელი მწუხარება შეექნება: და ან კიდევ ძმა ძმას მოშორდება:

ესენი ყველას ხომ ჩუენს თვალწინ გვიდგას, და ადამის სამო-
თხიდამ გამოხვებასავით ჩუენც იმისთანას მწარის ტირილით, გოდე-
ბით, და მწუხარებით თავსა და პირს ვიცემთ, ვიგლოვთ და ვკვნესით,
ვაი საყვარელნო, სასურველნო, და სიხარულნო შვილნო ჩუენნო,
ძმანო ჩუენნო, დანო, და საყვარელნო, უსჯულოთაგან დატყვევე-
ბულნო: მეგობარნო, და მეზობელნო საყვარელნო: ჩუენის მამა-შვი-
ლოგისაგან დაკარგულნო, და თქუენის საყვარლებისაგან მოშორე-
ბულნო, გამოუსალმებელნო, ცრემლ დაუყრელნო, და სულითა და
ხორცით უცხოს ქუეყანასა და უცხოს თემსა და ადგილს უსჯულო-
თაგან გატანჯულნო: ვინღა დაგვანახოს საყვარელი, და სასურველი
პირი თქუენი, ვინღა გვასმინოს ჩუენთჳს სასიამოვნო და სასიხარუ-
ლო ხმა თქუენი: ვინღა გვაღირსოს ჩუენი ერთმანეთთან განცხრომა და
სიხარული თქუენი: ვითარმე ვსტიროდეთ თავთა ჩუენთა, განსვენებათა
ჩუენთა, სახლთა და მონაგებთა ჩუენთა, დიდებათა და მონაღვაწთა
ჩუენთა: რომელ ესე ყოველივე ჩუენთჳს მწუხარებად ცრემლად და
სიმწარედ გარდაქცეული არის: ამავებს ხომ დიაღ მრავალს შევსწრე-
ბივართ, და ჩუენის თვალითაც გვინახავს და მოგვისმენია:

მაგრამ ვინც იმ უსჯულოთაგან სრულიად აოხრებულა, სრულიად
ავლებითა თუ დაწვითა, თუ სიმდიდრისა და ქონების დაკარგვითა, იმათი
გლოვა კიდევ ათას-ჯერ უმეტესად უფრო ამაზედ სამწუხარო და
საგლოვი ხმა არის რომე რავდენის მწარის კვნესით თავსა და პირს
იცემენ რომე ჩუენის ეგოდენის სასახლისა და ადგილის მქონებელ-
საო, ერთის მცირეს თავის შესაფარებელი ადგილიც აღარსად გვაქსო:
და ჩუენის მრავალ საზრდელ სანოვაგის წინ მიმრთმეველნი და დამ-
გებელნი, ახლა სხვათა კარეს ერთის ლუკმის პურის სათხოვრად
მოარულნი დავშრწითო. და ჩუენის მრავალ სამოსთ ტანთა ბრწყინ-
ვალედ შემოსით მცხოვრებნი, ახლა ერთის მცირის საგლახაკოს ფა-
ლასითა და ხადგით შემოხვეულნი დავალთო, და აგრეთვე წმიდანი
სამღუდელონი ხომ ორისა და სამის ბრწყინვალეს სამკაულისა, და
შესამოსის მქონებელნი, და მრავალთ წერილთა, და საღმრთოთა

წიგნთა მეგანძურენი, ახლა თჳთოს ფარატინისა, და ფურცლის მეძიებელნი, მდაბიოსა და უნდოს სამოსისათჳს დაგლახაკებით მი-მომთხოვრებენ:

და აჰა წმიდანი, და ძრწოლით სათაყვანონი წმიდანი ეკკლესი-ანი, და საღმრთონი ტაძარნი ხომ, თჳთ თვალისა ჩუ̂ენისაგან დანა-ხულნი, შერყეულნი იმ ბილწთა უსჯულოთაგან, განძარცვილნი, დამწ-ვარნი, და დაქცეულნი, ვაი თვალთა ჩუ̂ენთა, და დანახვათა ჩუ̂ენთა: ვაი ადამის ქსორიობასავით, კიდევ უმეტესად ჩუ̂ენზედ მოწევნულთა ამათ განსაცდელთა შერისხვითა ღუ̂თისათა დამნახავნი:

ეს ერთი კაცი დაეცა, და თავის სამყოფის სამოთხისაგან გამო-ვარდა, და ჩუ̂ენი ქუ̂ეყანა, და ესოდენი ერი საქართველოსი, სამღუ̂-დელონი თუ საერონი, ყრმანი თუ მოხუცებულნი, მრავალჯერ შვენი-ერნი ქალნიცა, თუ ვაჟნი, იმათის უსჯულოს კელისაგან ზოგნი დატ-ყვევებულნი, ზოგნი დახოცილნი, და ზოგნი ასეთს ადგილასაც დაკარ-გულნი რომ სულ იმათის სახელის ხსენებაც აღარავის გვესმის:

იმ პირველს მამას ერთი სამოთხე დაეკარგა და გამოვარდა, მაგრამ იმ შვენიერს ადგილს თავისი დიდება, და სათვარველი მაინც არ მოჰკლებია, და ღუ̂თისა მიერის ბძანებით დაცულ-იქმნა: მაგრამ რამდენნი ჩუ̂ენნი წმიდანი სალოცველნი ეკკლესიანი და ტაძარნი, იმ უსჯულოთ სოფლებში დიაღ უცხოთ შვენიერად ნაგებნი ულოცავად და უწირავად გაოხრებული არის, და ზოგი ასე უპატიურად რომ, თა-ვიანთ ბილწის ყურანისა და ბილწის ლოცვისათვის სახლად და მეჩი-თადაც გარდაექციოსთ: და ვის დავაბრალოთ ესე ყოველი ჩუ̂ენის ცოდვაგანსა, და ქრისტიანობაზედ ჩუ̂ენგან ნაკლებად და უსასოოდ მდგომარეობისაგან ჭეშმარიტად, დ̃ სხვა მიზეზი არა არის რა ამის მეტი.

მაგრამ, საყვარელნო ჩემნო, და ქრისტეს მორწმუნენო ერნო ესეც მოისმინეთ ჩემ-გლახაკისა მწყემსისა თქუ̂ენისაგან: ადამის სა-მოთხიდამ გამოხვებას რომ მივამსგავსე ჩუ̂ენი თავი: ახლა ისევ დავით წინასწარ-მეტყველის სიტყვა მოვიგონოთ რომ დაგვიწერა „არა სრულიად განრისხნესო, და არცა უკუნისამდე მძვირი იხსენოს:

ამისთჳს ეს წინასწარ-მეტყველება დიდად სანუგეშო არის ქრისტიანენო, და ადამსაც ამისთანას მოწყალებით ნუგეში მიეცა ღ̂უთისაგან რომ, ღმერთმან რომ იმისი ეგოდენი მგლოვარება, კიდევ შეიბრალა და ღ̂უთის მოწყალებამან გარდმოხედა, და ბრძანა: ვითარცა წერილ-არს „მაშინ ჰრქუა მაცხოვარმან და შემოქმედმან ღმერთმან, ქმნილისა ჴელთა ჩემთასა, არა მნებავსო წარწყმედა:

მაშინ იგივე მეუფე და ღმერთი ჩუ̂ენც ასრეს ნუგეშინის-გვცემს, და ჩუ̂ენც ასე შეგვიწყალებს. პირველად თავისი კაცთ-მოყვარებისათჳს, რომ ჩუ̂ენთჳს ჯოჯოხეთიდამ გამოხსნისათჳს მოვიდა, და ჯვარცმა და სიკვდილი დაითმინა: მეორედ თავისის უხრწნელად მშობელისა, და ჩუ̂ენის დიდად მეოხისა, და საქართველოს წილ-ხდომილისა ღ̂უთის-მშობელისათჳს, და ცხოველ-მყოფელისა უკვდავის სისხლით შეღებილის ჯვარისათჳს: და მესამედ ჩუ̂ენის სინანულისათჳს, სარწმუნოებისა, სასოებისა, და სიყვარულისა რომ ყოვლის სათნოებისა, და კეთილის საქმისა: უპირველესი, და ღ̂უთის-ბძანების აღსრულება, და ქრისტიანობის სიმართლე ეს სამი ლექსი, და სიტყვა არის რომელიც მოგახსენე: ყოველი კეთილი საქმე ამაში შემოკრბება: პირველად ვისაც სარწმუნოება მართლ-მადიდებლობით ჰსწამს: და სასოება ჭეშმარიტი და მტკიცე აქუ̂ს, და სიყვარული ღ̂უთისაჲ და ძმათა ქრისტიანეთა სიმართლით და სიწმიდით აქუ̂ს, ჩუ̂ენს ლოცვასაც ამაებით შეიწირავს და შეისმენს ღმერთი: მარხვითაც მადლი და ცოდვათა შენდობა მოგვეცემა, და მოწყალების მიცემითაც ღმერთი ყოველს თქუ̂ენს მონაგარს აკურთხევს, და უმეტესად მოგვეცემათ, და ყოველსავე თქუ̂ენს კეთილს სათხოვარსაც აღგისრულებს:

წმიდამან და საღმრთომან წერილმა ამიტომ უწოდა დღეს ბჭე და შესავალი მარხვისა, ამ ყველის კვირასა: და დღეს ადამის ექსორიობაც ამიტომ გაგვიახლა რომ პირველად რომ შეცოდებისათჳს შერისხა. და მერმე ეგოდენის გლოვისა, და სინანულისათჳსვე შეიწყალა. ეგრეთვე ჩუ̂ენც ეს უნდა მოვიგონოთ, და ჩუ̂ენი კეთილი სინანული, და ლოცვით გამზადება აქედამვე უნდა ღმერთს დავანახოთ, და განვემზადნეთ:

იმ პირველისა, და წინას დღესასწაულისა და თჳთოეულის კჳი-რისა თჳთო სწავლა და ქადაგება თჳთოს წერილებით გამიკეთებია და მომიხსენებია, და აგრეთვე ამ დღისათჳს ესე მცირედი სიტყვა მომიხსენებია, თუმცა თქჳნ, სამწყსოთა სულიერთა შვილთა, და თჳთოეულთა ეკკლესიათა შინა, თჳთ მე უნდა დავიდოდე გიახლებოდე და მოგახსენებდე, მაგრამ თჳთ ეს ჩემი წერილებიც ჩემი თქჳნთან ხლება და მოხსენება არის, რომ პატიოსანნი მღჳდელნი, ან განიცა-დეს დროს წაგიკითხვენ, და ან მწუხრის ლოცვის დროს, თუ ან ეგენი გაირჯებიან, და ან თქჳნ მოიხსენებთ და შეისმენთ, მე ჩემი თანამდებობა აღმისრულებია, და მცირედ დამაშვრალვარ თუ შეიწყნა-რებთ: და თუ არც წარმკითხველი არის გულსმოდგინე, და არც მსმენელი მოსალისე, იდვას კატიღორიათა შინა იტყვის ფილოსო-ფოსი: ამას მსმენელი ისმენს და დავიდუმებ: და თქჳნ მშვიდობით იმყოფებოდეთ მადლითა ღჳთისათა, გლოცავ და გვედრები ყოველთა ხვალვე რომ წმიდა მარხვა დაიწყება ამავ პირველ კვირაში წმიდის აღსარებით განემზადენით. აღსარებას ნურავინ დაიზარებთ. კიდევ გვედრები, და რომელთაც მოძღჳრისაგან შენდობა გქონდეს ნურც წმი-დას ზიარებას დაზრკოლდებით. ვისაც ქრისტე გიყვარსთ რომ ქრის-ტეს მცნება და ბძანება მართალია პირველი ნათლისღება არის, მაგ-რამ ჩჩვილის უმარწვილს გარდა ნათლისღება ჩჳნ ვერ გვაცხონებს გრწმენინ ჩემო შვილნო სულიერნო, და გრწმენინ ღმერთი, თუ წმიდა აღსარება და ზიარება წელიწადში ერთხელ მაინც არ გვეღირ-სებათ: და ვინც ამას ასე არ აღასრულებს, და მღჳდელს არ დაუჯე-რებს, იმ მღჳდელს განვკვეთ და წირვისაგან დავაყენებ, ვინც ამისთა-ნას კაცს ან უმღჳელებს, და ან სიკვდილის დღეს დამარხავს: უაღ-სარებოსა და უზიარებელს კაცსა ასე უნდა: ფეხზე წნელი უნდა სიკ-ვდილის დღეს მოაბან, და ერისკაცებმა ერთს ბიაბანს მინდორში და ტყეში გარდააგდონ, იმისი მღჳდლისაგან დამარხვა არასგზით არ იქნება: და სხვა სწავლაც და ქადაგებაც კიდევ მოეხსენდებათ, თუ გაი-გონებთ, და შეისმენთ მოწყალებითა და მადლითა ღჳთისათა, რამეთუ მისა შვენის პატივი და თაყვანის-ცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

# № 11—წიგნი მეთერთმეტე.

სწავლა ქადაგება უძღების ძისა, სულო ყოვლად წმიდაო შემეწიე ნეკრესელს ამბროსის:

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა ამინ:

ღუთისმოყვარებით აქა შემოკრებულნო მსმენელნო, ამ წარსულს კვირას ერთი იგავი გვიხსნა წმიდამ სახარებამ, რომელიც მოგვხსენდათ მეზვერისა, და ფარისეველისა. ერთი სიმდაბლისა და სინანულისა სახე და მაგალითი იყო, და მეორე ზვაობისა, და ამპარტავანებისა იყო: ახლა დღეს სხვას იგავს გვიხსნებს, და სახედ და მაგალითად გვამცნებს. ჰკაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე, და უმრწემესმან ძემან თავისი წილი გამოსთხოვა რაც მერგებოდეს მამეულო, ჩემთვის ვიცხოვრებო. წარიღო და სიბოროტესა და უკეთურებაში გარდაავლო: მაგრამ მერმე ჭკუას მოვიდა, გონებას მოეგო საწყალობელი, და დიდად მწუხარებით ინანდა. რაასა ვყავ ესე, რა ვქენ, რამ გამავიჟა, რატომ გავშორდი ამ ჩემს მოწყალეს მამასა. მე მესმის რომ რაამდენნი უცხონი იმისის მოწყალებით იზრდებიან, რჩებიან, და ცხოვრებენ, და მე რაცა მქონდა ესეც სულ სიბოროტეში განვაბნიე და ახლა ეს არის მწვირიანს ღორებში დავალ, და შიმშილითა ვკვდები, ავდგები და ისევ წავალ და მუხლს მოვეხვევი გცოდე მამაო რომ გავშორდი, მე ხომ შენის შვილობის ღირსი აღარა ვარ, მაგრამ მეც ერთ შენს მონასა და მოსამსახურებთან ყოფნა მაღირსეო, და ჩემი შეცოდება შემინდევ. ახლა მაშინვე მამამ რომ ამისთანა

სიმდაბლე დაინახა თავისის შვილისა, წინ წამოეგება, ქედზე მოეხვია, ამბორსუყო დიდად შეიტკბო, და შეიყვარა, და მსახურთ უბძანა, მოიღეთ ახალი სამოსელი შემოსეთ. ბეჭედი შეაცვით, ფეხთ გამო-უცვალეთ, საკლავი დაკალით, და სამზადისი დაგვიგეთ, ვჭამოთ, და გავიხაროთ, აჰა ძე ესე ჩემი დაკარგული მეყვანდა: და მომივიდა მომკვდარი იყო, და გამიცოცხლდა: ეს ასე ბძანა დღეს წმიდამ სახარებამ ლუკას თავსა შინა, მაგრამ უნდა ვიკითხოთ რომ, რა იგავი არის ესე, და რაზედ ბძანებს: მოვახსენებ მადლი-თა უფლისა იესო ქრისტესითა, და გულისხმიერებით მოისმინეთ ჩემი მოხსენება:

ღმერთმან ყოველთა არსთა ქმნილებათა დამბადებელმან, და არა არსისაგან არსად მომყვანებელმან ვითარცა ზეციერმან მამამან მოწყალემან, კაცი კეთილად დაბადა, ღმერთი ბოროტის დამბადებე-ლად არ ითქმის, ვითარცა ღუ̂თისმეტყველნი დასწერენ: კაცი რომ კეთილად დაბადა, ზოგი ისევ ღუ̂თის მოშიშებაში, და ღუ̂თის დი-დებაზე დაადგრა, და ზოგი თავისის უგუნურებითა, და ეშმაკის მი-ყოლით სიბოროტესა, და ცოდვას შეუდგა:

ეს ერთი ძე სიმართლისა, და კეთილის შედგომილი არის, და მეორე უმცროსი ძე ცოდვისა და ეშმაკის მიმდევარი დი მიმყოლი არის, ახლა იმ უმცროსმა ძემ რომ მამას გამოსთხოვა რაც მერგე-ბოდეს ჩემის სამკვიდრებელიდამ მამეცო წილი მარგუნეო. კაცის სამკვიდრებელი ქრისტიანენო, ღუ̂თისაგან ხატად და მსგავსად დაბა-დება არის. ღმერთმან კაცი სიტყვიერად და თავისუფლად დაბადა, რომ ამას თჳთ კელმწიფება შეუდგება. გასინჯეთ შვილნო რომ, რადგან ამისთანა ღუ̂თის ხატება და მსგავსება კაცს მისცემია როგორ კეთილად უნდა იქცეოდეს, მაგრამ იმ უმცროსმა ძემ თჳვ ალაღებულ-მა შვილმა ვითარცა ჭაბუკმა და განდგომილმან, ღუ̂თისაგან წყალო-ბით ამისათა მიცემული მონაგები მამული წარიღო შორსა სოფელსა, ესე იგი ღუ̂თისაგან განშორდა, და ცოდვასა და სიბოროტეში გარ-დააბნია: ვითამ ეს არის რომ როგორც ღმერთმან კეთილად დაბადა,

კეთილად და ღ̂უთის სადიდებელად ვეღარ მოიხმარა: მაგრამ უხუცესმა ძმან, ვითარცა მართალმან და ღ̂უთის-მოშიშმან კაცმა ყოველივე ესე ღ̂უთისაგან წყალობა მიცემული მამული, რაც მოგახსენე, ყოველივე კეთილად და ღ̂უთის-სადიდებელად მოიხმარა: კვალად ბძანებს რომ რაც მონაგები მამისაგან წილად მიცემული რომ სიბოროტეში გარდააგო, მერმე შეიქნა სიმშილი და სიყმილი იმ სოფელში, და დარჩენის ღონე რომ აღარა ჰქონდა, ერთს მოქალაქეს მოსამსახურედ დაუდგა, და იმან ღორებს დაუყენა: ამას წმიდანი და ღმერთშემოსილნი მამანი ასე განმარტებენ რომ, ერთი მოქალაქენი ღ̂უთის მადიდებელნი ღ̂უთის-მოშიშნი კაცნი არიან, და ერთი მოქალაქენი ეშმაკნი არიან: სოფელი კაცის გონება არის, და სიყმილი ის არის რომ რაც კაცის გონებას ღ̂უთისაგან კეთილის მოქმედების დანახვა მისცემია, ის რომ დაეკარგება, სიყმილი ამასა ჰქვიან: ვითარცა დავით წინასწარ-მეტყველებს „ბეჭთა ჩემთა მცემდეს მე ცოდვილნი, ესე იგი ეშმაკნი რომ კაცს პირველად გონებას მისტაცებენ და დაუკარგვენ: ახლა ღორებში წარსვლას ამაზედა ბძანებს რომ, ღორის ჩვეულება ეს არის რომ სულ-მიწას ჩასცქერის, ხრიანვს, და გაუმაძღრად სთხრის, და თუ კაცი გამოეხმაურა, მაშინვე ზე აიხედავს: აგრეთვე ცოდვილი რომ ეშმაკის რჩევას მიჰყვება, იმ ეშმაკის ხაზინა ჯოჯოხეთი და ცოდვა არის, თჳთოსა და თჳთოს ცოდვას გამოიტანს და აძლევს იმ საწყალობელს ცოდვილსა, არას დროს არ მოაკლებს ერთ ცოდვას რომ მოაპოებს და ჩააყლაპებს, ახლა სხვასა და სხვას ცოდვას დაანახებს და მიასწავლის: ამაში თუ ან თჳთან გონებას მოეგო, და ან სხვამ ვინმე კეთილმან კაცმა დაანახვა და ჩააგონა, მაშინვე გონებას მოეგება, და ზე აიხედავს, ვითარცა უძღები იგი შვილი, მაშინვე გამოაცლის თავის თავს ეშმაკსა, განაგდებს იმ ღორებსავით ცოდვის მიწაში ხრინვასა, და მიაშურებს წმიდას ეკკლესიასა, და შესტირებს მამას მოწყალეს ღმერთსა, ვცოდე ღმერთო, ვსცოდე მამაო მოწყალევ, შენ რომ კეთილად დამბადე, და მე ჩემის უგუნურებით შენგან ესოდენი წყალობა მოცემული ჯერ დავინახე, და ეშმაკის

ნებას მივყევ, ახლაც ისევ შემიწყალე და შემიტკბე შენი შეცოდებული და უძღები შვილი: მაშინვე მამა ღმერთი მოწყალებისა, და შემბრალებელი ცოდვილთა წინამოაგებებს ზეციდამ გარდამოსრულს თავისს მხოლოდ შობილს ძეს, და იგი ამბორს უყოფს, და ქედსა მოხვევნით შეიტკბობს, ესე იგი „მოდითო ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ცოდვაში დამძიმებულნი და მე განგისვენო თქუენ: უბრძანებს მომსახურთა, ესე იგი წმიდათა ანგელოსთა, ვითარ იგი, ერთის მოქცეულისა ცოდვილისათჳს, ცათა შინა ანგელოსნი განიხარებენ: ანუ თუ მღუდელთა გამოიღეთო ახალი პირველი სამოსელი, ესე იგი წმიდაჲ ნათლისღება, ანუ თუ სინანული და ცრემლი: ანუ თუ პირველი იგი ადამის ცთომის უწინ ნათელი, და შემოსეთ: გამოიღეთ ბეჭედი, ესე იგი პირველი იგი ხატება ღუთისა, და ანუ ნიჭი სულისა წმიდისა: გამოუცვალეთ ფეხთ-სასცმელი ხამლი, ესე იგი, გველთა და ღრიანკალთაგან შთაცმული ამდენს ხანს შთაცმული ცხადი და დაფარული შეცოდება: დაუკალთ ზვარაკი, ესე იგი ჩუენის სიყუარულისათჳს ხორციელად ქალწულის მარიამისგან შობილი ჩუენის ჯოჯოხეთიდამ ამოყვანებისა, და ეშმაკისაგან გამოხსნისათჳს ჯვარზედ დამსჭვალული, და მამის მიმართ შეწირული უფალი იესო ქრისტე: ვსჭამოთ და ვიხარებდეთ, ვინათგან ცოდვილი ეშმაკისაგან ცოდვაში მეოფი წარწყმედული კიდევ გონებას მოეგო, და ცოდვით მომკვდარი, აჴა დღეს სინანულით გაცოცხლდა: ვეზიარნეთ უკუდავსა საიდუმლოსა, და აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, შეუვრდეთ ღმერთსა ცრემლითა და სინანულითა, აჴა წმიდაჲ მომავალი ორმეოცი მარხვა, გამწმედელი სულისა, და ხორცისა ჩუენისა. თუმცა ჭამისა და სმისა, და შექცევისა, და განცხრომის დღეები არის, და არც დასაბრკოლებელი არის უცოდველად ესენი, მაგრამ თუ მომატებულსა, და კაცისაგან შეუძლებელსა არც ლოცვას უბრძანებს ღმერთი კაცსა, და არც მარხვასა, რაოდენ გზის ქრისტიანენო დასაბრკოლებელი და სჯულის გარდამავალი საქმე არის ცოდვითა და სიბოროტით სმა და ჭამა, და გარდამატებული ღხინი და შექცევა ჭეშმარიტად სულისაც წამწყმედელი,

და ხორცისაც მომაუძლურებელი, ქრისტიანობის უგადრისი, და უძ-
ლების ცოდვილის ძესავით გამაღარიბებელი, და ღორსავით მწვირესა და
სიმყრალეში გაუმაძღრად შეთხაპული და შემწვირებული: ჩუ̂ენ-
თჳს ჯვარ-ცმული იესო, წმიდის ეკკლესიითა, და მოძღუ̂რის
პირით ჩუ̂ენის ცოდვების შენდობასა და მოტევებას გვიბძანებს, აქა
წმიდაჲ ეკკლესია, და აქა მოძღუ̂არი, არ გვიძევს შუაზედ მთა, და
არცა კლდე, და არცა ძნელი ხევი და გასავლელი ძნელი გზა: ესკი
დაგვზარდება, და დიდად გვეზარება, და ერთ ღობისა და გაუმაძღარს
კაცსკი მალე მივყვებით, რავქნა აი იმან ამიყოლია, და ძალად დამა-
ლევინა, და ღამე ლხინში გამათენებინა, ბარბაცებ საწყალობელო,
თავიც გტკივა და ტვინი აღარ გერჩის, გავსინჯოთ ჩუ̂ენი უგუნუ-
რება, ვის უჯერებთ, და ვის არ უჯერებთ: შევხედავთ ერთ ვისმე
რომ ერთი რამ იმისი ცოდვა გავიგონოთ, ვითარცა კაცი ხორცთა
შინა მყოფი, და ჩუ̂ენის ცოდვისათჳს თვალები დაგვიხუჭავს, ამპარ-
ტავანება და კვეხსა გვჭირს, თუ შური და მტერობა გვაქვს თუ, მძრახა-
ვანი და მკილავნი ვართ, თუ მაგინებელნი და მწყევარნი ვართ თუ
ცილის მწამებელნი, და ტყვილის-მოლაპარაკენი ვართ თუ. მაბეზღარ-
ნი და მეშფოთარნი ვართ, და თუ კიდევ სხვა და სხვა რამდენი
ცოდვა დაიხატება ჩუ̂ენს გვამში და ის ერთი ცოდვა ვისიმე ოჭ
დიდად გაკვირვებული გვაქვს, და იქნება აქა იქაც მიმოვსდევდეთ, და
მიმოვსთქვევდეთ: გავიგონოთ ქრისტიანენო, რადგან მე თქუ̂ენი მწ-
ყემსი და მამა მქვიან, ვალი მაქუ̂ს, და კიდეც დამიწერია თვითოს
დღესასწაულების სწავლა ქადაგება, და ახლა დღესაც ეს მომიხსენებია,
გეშინოდეთ პირველად ამპარტავნებისა, ვინათგან დასწერს, „ამპარ-
ტავანთა შემუსრავს ღმერთი: ნუ იქმნებით მტაცებელ მპარავ, და
სხვის დამკლებელ, ვინათგან წერილ-არს „არცა მტაცებელთა, და
და არცა მპარავთა, და არცა ანგართა სასუფეველი ღუ̂თისა ვერ დაიმკვი-
დრონ: თქუ̂ენი პირი და ყური მოარიდეთ შფოთსა, ენის მიტანასა,
ცილის-წამებასა და ზრახვასა თორემ ასე სწერია რომ ღუ̂თისაგან
დაისჯება ამისთანის მიმყოლი: ნუ იქმნებით მიმყოლი მექურობისა

და მკითხავთა მისლვისა, თორემ ჭეშმარიტად კაცის მკულელობის-ოდუნი კანონი მოგეცემათ, და ის მღუდელი ვეღარ გაზიარებს: ნუ დაგზარდებათ წელიწადში ერთხელ აღსარება და წმიდაჲ ზიარება თორემ აღარც სიკვდილის დღეს გეღირსებათ. ნუ გასტეხთ კვირას და უქმესა, და ამისთანას დღეებში წირვა და ლოცვა მოისმინეთ, და ესეები თქუენს შვილებს ასწავლეთ, და ღუთის-მოშიშებით დაზარდეთ, და შვილნიცა მშობელთა თქუენთა და უფროსთა მორჩილ იყვენით, და მადლი და კურთხევა მოგცეთ უფ:ლმან იესო ქრისტემან, რომელსა დიდება და თაყვანის-ცემა უკუნისამდე ამინ:

---

სწავლა ქადაგება ორმეოცთა წმიდათა მოწამეთა, მარტის თვეს, თ. სულო ყოვლად წმიდაო შემეწიე, ნეკრესელს ამბროსის:

დასწერს სულითა ღუთისათა მეტყუელი, და საღ̂რთოთა მადლითა განბრძნობილი, ღუთისა განხორციელებულისა მამად წოდებული, და თხემ გვირგვინი მეფეთა და წინასწარ-მეტყუელთა დავით, ფსალმუნსა შინა, ჲე, და რიცხვსა, ია. ვითარმედ, „განვლეთ ჩუენ ცეცხლი, და წყალი, და გამომიყვანენ ჩუენ განსასვენებელად: სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა, ამინ:

ამ წინასწარ-მეტყუელებას ღუთის-მოყვარენო, ქრისტესთვის წამებულთ წმიდათ მოწამეთათჳს წინასწარ-მეტყუელებს, რომელთაც ამ წუთისა, და ამაოსა ამის სოფლისა აღარა ინდომეს რა, არცა რა დიდება და პატივი, არცარა მონაგები, და საცხოვრებელი, და არცარა მრავლის ჟამის სიცოცხლე, და განსვენება. ესე ყოველივე ქრისტიანო-

დასთმეს, და ერთის წლისა თუ ერთის საათის სიკუდილით, საუკუნოსა შინა განსვენება, და სასუფეველი დაიმკვიდრეს:

რა ვსთქვათ, და რა მოვიგონოთ საყვარელნო, წმიდათა მათ მოწამეთა ქრისტესთა, ეგოდენნი მძაფრნი, და უწყალონი, და მრავალგვარნი სასტიკნი, სატანჯველი ანუ თუ რაოდენთაგან მოწამეთა, ათასთა, და ათიათასთაგან ქრისტესთჳს სისხლის დათხევანი, და ხშირთა წვიმათა მსგავსად, ნაკადად და ღვარად და ღვარად ველთა და ხევნებითა, უბანთა და ქალაქთა დაკლულთა მათ მოწამეთა სისხლთა მდინარედ და წყაროდ წარდინებანი, დიოდეს:

ამისთჳს უკეთუ მაცალოს მე სულიერნო შვილნო სულთქმამან გულისამან, და სიმრავლემან ცრემლთამან მსგავსად ხშირთა წვიმათა დაუცადებელნი ცხელნი ცრემლნი გარდამოვადინო თვალთაგან ჩემთა: და განკვირვებას მივეცემი ჭეშმარიტად, თუ ვითარ ძალედვეს, და თუ ვითარ დაითმინეს, და თუ ვითარღა იქმნებოდეს ცოცხალ, და მყის, და მასვე ჟამსა წმიდანი იგი, და სანატრელნი სულნი მათნი არა წარხდებოდეს ჴორცი საკვირველი ჭეშმარიტად:

რომელთათჳსმე მძაფრი, და საშინელი ცეცხლი აღაგზნიან, და წმიდანი იგი მას შინა შეყარნიან: უღმრთოთა მათ და უწყალოთა მტანჯველთა, და ეტყოდიან, უკეთუ არა ჰგმობთ უფალსა ღმერთსა თქუენსა, აჰა ცეცხლი ეგე, და მაგას შინა დაიწვენითო: და უკეთუ არა, კერპსა ჩუენსა თაყვანის-ეცითო:

ხოლო წმიდანი იგი სიხარულით და ლოცვით შევიდიან ცეცხლსა მას შინა საშინელსა, და იტყოდიან, უფალო ნუ განმაშორებ ჩუენ წყალობასა შენსა, რამეთუ შენ ხარ შესავედრებელი, და ძალ, და შეწე ჭირთა შინა ჩუენთა რომელთა მპოვნეს ჩუენ: ამისთჳს არა მეშინის ჩუენ ცეცხლისაგან, და არცა თაყვანისვცემთ ჩუენ კერპთა მათთა საძაგელთა, რამეთუ შენ მხოლო ხარ ღმერთი შემოქმედი ჩუენი:

და მასვე ჟამსა გარდამოვიდის ზეცით ანგელოსი ღუთისა, და და დაშრიტის საშინელი იგი სახმილისა მის ალი იგი ცეცხლისა, და

ცვარად წვიმისად შესცვალის, და მრთელნი და უვნებელნი გამოვიდიან
მოწამენი იგი წმიდანი:

რომელთამე საპყრობილესა ბნელსა შთაავდიან, ჯაჭვითა მძიმი-
თა შებორკილიან, და ხუნდითა დიდითა დაკრძალვიან, და ზედა გულ-
სა და მკერდსა დიდსა ლოდსა დასდებდენ, არამედ წმიდათა მათ
ლოცვითა და ცრემლითა განათიან ღამე იგი, და მაშინ გარდამოვი-
დის უფალი იესო, და ეჩვენებოდა საპყრობილესა მას შინა, და
მისცის მშვიდობა, და განამხნობდა, და განაძლიერებდა, ვინათგან სი-
ყვარულისა ჩემისათჳს იტანჯებით, მეცა აღმითქვამს, და განმიმზად-
ებიეს თქუენთჳს სასუფეველსა შინა დამკვიდრება: ხოლო იგინი თაყვანისცემ-
დეს, და სიყვარულისა მისთჳს სატანჯველსა მას არარად შერაცხდეს:

ხოლო სხვათა რომელთამე წმიდათა განაშიშვლიან, და მწარითა
გვემითა, კვერთხითა და უზელელითა ძარღვითა ესრეთ უწყალოდ
სცემდიან რომელ ყოველნი ასონი გვამისა მათისანი დაწყლულდებო-
დეს, და მჩქეფრად და მჩქეფრად ძარღვთაგან ხშირნი სისხლნი წარ-
მოედინებოდეს, და ეტყოდეს უღმრთონი იგი კერპისა მათისა თაყ-
ვანისცემასა, ხოლო წმიდანი იგი ილოცვიდეს, უფალო იესო ქრისტე
შეივედრე სული ჩ̂ენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩ̂ენი, და არავი-
ცით სხვა ღმერთი, და შენთჳს მოკსწყდებით ჩ̂ენ, და შევირაცხე-
ბით ვითარცა ცხოვარნი კლვადნი:

და სხვათა წმიდათა რომელთამე, თავ დამოქცევით დამოჰკიდიან,
და მყრალსა რასამე აღუკვამლებდენ, რომელთაცა სულის შეგუბე-
ბით, სიცოცხლის განწირვით შეაიწრებდენ, გარნა იგინი უმეტესად
ქრისტეს თაყვანისმცემასა მტკიცედ აღიარებდენ: და კერპთა მათთა
ნერწყვიდენ:

რომელითამე მოწამეთა და ქრისტეს აღმსაარებელთა განაშიშ-
ვლებდენ, და თვითოეულსად ასოდ და ასოდ დასჭრიდენ, და სხვათა
წმიდათა ფერხზედ მდგომარესა მარწუხებითა აგლეჯდიან ხორცთა
შიშველთა, და შამფურთა განხურვებულთა განაწონებდიან, ხორცთა
და ნაწევართა: და სხვათა წმიდათა ხორცთა მათთა შიშველთა

ცოცხლივ ტყავი გაჰხადიან ჰი მწარე და შესაძრწუნებელი სატანჯველი უწყალოთა მათ უღმრთოთაგან, რომელნი იგი იყვნენ მძლავრნი, და უღმრთონი მეფენი, ნერონ, მაქსიმიანე, დეოკლიტიანე, ივლიანე, ლიკინიოს, ტრაიანე, ნომერიანე, და სხვანიცა მრავალნი ამათებრნი და მსგავსნი მგმობელნი ქრისტესნი, და მოსავნი, და თაყვანისმცემელნი კერპისა, და რომელნიმე ცეცხლისა მოსავნი:

ჰი მე რასა ვიტყოდე უმწარესსა სატანჯველსა მათ წმიდათასა, და რომელმან ენამან გამოთქვას: რომელთამე წმიდათა შუა განხერხიან, თავითგან ფერხთამდე მწარითა ტანჯვისა მიცემითა: და ნაწევართა, და ნასხმანთა მათ წმიდათასა განაბნევდიან, ხოლო სხვათა წმიდათა ტაფაკი განხურვებული თავთა ზედა დაადგიან:

და სხვათა ქვაბთა ფისითა სავსესა აღდუღებულსა შთასხვიან, და სხვათა წმინდანთა გუდა სავსე ცეცხლისა ღველფითა თავზე ვიდრე ყელამდე შთაამოაცვიან: და შეწვნიან ქრისტეს მადიდებელნი იგი წმიდანი ხორცნი მათნი, და ეტყოდენ კერპისა, და ცეცხლისა თაყვანისცემასა: ხოლო იგინი უფროსად აგინებდენ და ნერწყვიდენ, და იტყოდენ უფალო იესო შენთჳს მოვსწყდებით ჩუენ და არავინ ვიცით სხვა ღმერთი შენსა გარეშე:

ეგრეთვე სხვანიცა წმიდანი დედანი, და ქალწულნი, რომელნიცა ბილწთა კერპთა მათთა არა თაყვანისცემდენ, და უფალსა იესოს აღიარებდენ, მათცა შეიპყრობდენ უღმრთონი იგი მეფენი, და მტარვალნი მათნი, და პირველად გვემითა უწყალოთა სტანჯევდენ, და მერმე მახვილებითა მწარედ უგმერდენ შიშველთა ხორცთა მათთა, და მარწუხითა აგლეჯდენ, და ძუძუთა მოჰკვეთდენ, და რომელთამე განაშიშვლებდენ, და ქალაქ-უბანთა ეგრე შიშველთა მოატარებდენ ცემითა და გვემითა უწყალოთა, ხოლო მათ არა ჰცხვენოდათ იგი ქრისტეს სიყვარულისათჳს, და მოციქულისა ხმასა ღაღადებდენ „განვიმარცვეთო ჩუენ აწ ძველი იგი შეცოდებისა ჩუენისა სამოსელი, და აწ ესერა ქრისტე შეგვიმოსიეს, რამეთუ მას ვმონებთ, და თაყვანისვცემთ, და კერპთა თქუენთა საძაგელთა შევნერწყვავთო:

და ეგრეთვე შვილთაცა მათთა, ოდეს ესმოდიან რა ქრისტიანეთა ეგოდენნი სატანჯველი, დაუტევიან სახლი, და მამული, და მშობელნი თჳსნი, და სადაცა ქრისტიანენი იტანჯებოდენ, იგინიც მუნ მიისწრაფდიან, და ხმითა სახარულევანითა ღაღადებდენ ვითარმედ ჩუჱნცა ქრისტიანენი ვართო, და ქრისტესათჳს მოვსწყდებითო, რამეთუ იგი არისო ჭეშმარიტად ღმერთი ჩუჱნი:

ჰი ქრისტეს საყვარელნო შვილნო, რავდენი საკვირველი, სასწაული მოგითხრა- მაშინდელი იგი მათ წმიდათაგან მოქმედებული და აღსრულებული

მაშინ რომელნიცა წმიდანი იგი ესოდენის სატანჯველებითა იტანჯებოდენ უღმრთოთა მათვან და უწყალოთა, და მოსწყვედდენ, მაშინვე ზეგარდამო ბრწყინვალე ნათელი გარდმოეფინებოდა, მათ წმიდათ გვამებსა ზედა, მსგავსი მზისა, და მრავალსა ჟამსა ანათებდა, და რომელნიცა შეეხებოდენ, და ამბორსუყოფდენ, მაშინვე ყოველთავე სნეულებათაგან განიკურნებოდენ, და ელხინებოდათ, დიდება საკვირველებასა ღუთისასა, და დიდება წმიდათა მათ ქრისტესთჳს წამებულთა გვამთა:

მაშინ ამას ზედა უმეტესად განძვინდებოდენ, და აღბორგდებოდენ უსჯულონი იგი მეფენი რომელ, თჳთ მათნი მტანჯველნი მტარვალნი ზედამდგომნი, ამისთანას საკვირველებას რომ დაინახევდენ, ჭეშმარიტად დიდ-არსო ღმერთი ქრისტიანეთა, მაშინვე ისინიც წარდგებოდენ ჭეშმარიტად მეცა ქრისტიანე ვარო და ქრისტესთჳს ეწამებოდნენ:

ვითარცა დღეს წმიდათა მათ ორმეოცთა მოწამეთა ზედა მდგომმა მათმან მტანჯველმან მტარვალმა იხილა რა მათ ზედა ზეცით გარდამოსული იგი გვირგვინის სახედ ნათელნი ბრწყინვალენი, და იგიცა მსწრაფლ მივიდა მათთანა, შთადგა შიშველი ტბასა მას შინა განყინულსა, და იგიცა ქრისტესთჳს ეწამა: ხოლო აწ ამათთჳს ორმეოცთა მათ ქრისტესთჳს წამებულთა სატანჯველთა და საკვირველებათათჳს ვიტყოდეთ, მადლითავე მათ წმიდათა:

ვინათგან ყამსა ამას წმიდასა ორმეოცსა მარხვასა სულთა ჩუჱნთა განმანათლებელსა მოვიწიენით, და ეგრეთვე წმიდათა მათ ორმეოცთა დიდთა მოწამეთა დღესასწაულსაც ვეღირსენით, რომელსაც დღესასწაულს დიდად ადიდებს წმიდაჲ ეკკლესია ესე მოიხსენეთ და გაიგონეთ:

სულიერნო შვილნო წმიდისა ეკკლესიისანო, და მორწმუნენო ქრისტესნო: ესე წმიდანი ორმეოცნი ქრისტესთჳს წამებულნი სევასტიის ქვეყანისანი იყვნენ, უმეტესად ქრისტიანობაზედ მტკიცენი და მორწმუნენი: და ზემო-წერილში რომ მძლავრნი იგი და უსჯულონი მეფენი მოვახსენე, ერთმა იმათგანმა მეფემან უღმრთომან ლიკინიოზ კერპთ-მსახურმა, თავისნი ერთგულნი მთავარნი იგინიცა კერპის თაყვანისმცემელნი წარგზავნნა თავის სახელმწიფოს სოფლებში, სახელით აღრიკოლაოს, და ლუსია: და ესრეთ უბძანა, რომელნიცა ქრისტიანენი დაახელოთ და ნახოთ, და ჩუჱნთა ამათ კერპთა არა თაყვანის-სცენო, მწარითა სატანჯველითა, და სიკვდილადცა მისცენითო:

მაშინ უღმრთონი იგი მთავარნი როდეს სევასტიასა შინა ქალაქსა მოიწივნეს, და ეძიებდენ ქრისტიანეთა, მეყსეულად წარდგენ წმიდანი ესე ორმეოცნი ქრისტეს აღმსარებელნი, და კადნიერად ეტყოდენ, ჩვენა ვართ ქრისტიანენი, და მისნი მორწმუნენი და მისნი თაყვანის-მცემელნი, და არცა ვრიდებთ თავთა ჩუჱნთა მისთჳს სატანჯველად, და არცა სიკვდილად, ვინათგან იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი, და მისსა გარეშე სხვა არა ვიცით, და არცა კერპთა და ეშმაკისა მოგონებულთა თაყვანისვცემთო, რაჲცა გენებოსთო ჰყავთო და აღასრულეთო ბრძანებულიო რამეთუ ჩუჱნ არა რაჲსაგან გვეშინის თჳნიერ ჭეშმარიტისა იესო ქრისტესი:

მაშინ ესმათ რა კადნიერი ესე სიტყვა უღმრთოთა მათ, დიდად განრისხნეს და ქვები მრავალი სტყორცეს პირსა მათსა, და ძლიერი სატანჯველი, და ფრიადი გვემა უქადეს, და ესროდენ რა ხშირად უწყალოთა განრისხებითა, კვალად ქვანივე იგი მათდავე ჩო

მართ მიიქცევოდეს, და უღმრთოთა მათვე ეცემოდეს, ეგონათ ვითარ ტყორცება ვისგანმე მოხვდებოდათ, და ამას ზედა განრისხებულთა უბრძანებს გარეგან ქალაქისა მის ტბასა რასამე განყინულსა, რამეთუ იყო ჟამი ზამთრისა, შიშვლითა გვამებითა, და ხელ-ბორკილითა რკინითა შეკრულთა შთასხმა მას შინა, და მახლობელად მისსა უბრძანეს ტფილისა აბანოსა სახლისა შემზადება რათა ოდეს შეიწრდენ რა სიცივისაგან და უარ-ყონ ქრისტიანობა, აღმოვიდენ ტბისა მისგან, და შევიდენ აბანოსა მას შინა:

ჰოოი რა მოხსენებულ-ვჰყო მაშინ იმ ჟამისა იგი განყინულება მწარისა და ძნელისა სიცივისა და ყინვისა, შიშველთა გვამთათჳს, მერმე ტბასა შინა განყინულსა, და გვალად ხელ-ბორკილითა რკინისათა შეკრულთა, ძლიერსა ნეფხვა ზამთარსა შინა, და ვსთქვა ვითარმედ უდავილეს იყო სხვითა რაჲთამე სატანჯველი და სიკვდილი ვიდრე ზამთარისა მის სიცივესა წყალსა მას შინა შთასმა და შეპყქრობა, და კბილთა ცემა, ხორცთა და სისხლთა თრთოლა ძლიერი და ძვალთა და ძარღვთა და ნაწევართა თრთოლა საკვნესარი, და შენა და ურვა და სულთქმა თუ ვითარი ექნებოდათ, და ვითარი შესაძრწუნებელი არისო, მაგრამ ქრისტესთჳს და ცხოვრებისათჳს ყოველივე ესე აღირჩიეს და მოითმინეს, ვიდრე ქრისტეს უარის, ყოფასა, და კერპთა მათთა თაყვანის-ცემასა ხისა, ძელისა, და რვალისა რასამე შემზადებულისასა:

მას ჟამსა ღამე რა განიყო შუა იქმნა საკვირველი განგება ღუთისა და სასწაული მათ ზედა გამოჩინებული, რამეთუ აღიხედა რა მტარვალმან მათ ზედა მდგომელმან იასაულმან ზეცად, და იხილა ზეგარდამო საკვირველი ბრწყინვალება მსგავსი და უბრწყინვალესიცა მზისა ვითარ ორმეოცნი გვირგვინი ნათლის სახედ გამოსახული მომავალი მათ წმიდათა ზედა მოფენად და დადგმად თავთა მათთა წმიდათა, და თქვა ჭეშმარიტად დიდარს ღმერთი ქრისტიანეთა რამეთუ გვირგვინნი ესე ნათლისანი ამათ ზედა არიან მოფენად და დადგმად თავთა ამათთა: გარნა იქმნა საწყალობელი ხილვა რამეთუ

ქრთმან მათგანმან ვერღარა უძლო განყინულსა მას ტბასა შინა დგო-მა, რომელიცა იყო საწყალობელი იგი ყრმა ჭაბუკი, და მხოლოდ ერთი შვილი დედისა მორწმუნისა ვისიმე, მსწრაფლ გამოვიდა, სი-ცივისა მისგან, და შეისწრაფა აბანოსა მას შინა ტფილსა: არამედ მტარვალმან მან იხილი რა ესეცა, მსწრაფლ აღიტაცა იგი სიყვარულ-მან ქრისტესმან, და ნათელმან მან ორქოლცმან გვირგვინმან ზეციერმან, აღდგა მსწრაფლ, და მის წილ შთავიდა ადგილსა მისსა ტბასა მას შინა, და ეტყოდ ვითარმედ მეცა თაყვანისვცემ და ვესავ ღმერთსა თქუენსა, და მრწამს იგი, და მეცა თქუენთანა მოვკვდები და მისთჳს ვეწამები, და ძალითა უფლისათა იესო ქრისტესითა იგი-ცა მათთანა გვირგვინითა ნათლისათა შეიმკო, და მათთან ეწამა, და დაიმკვიდრა ზეცათ სასუფეველი საუკუნო და დაუსრულებელი:

განსინჯეთ ესე საყვარელნო შვილნო, ისმინეთ და განჰკვირდით ამას ზედა ურწმუნოსა იასაულისაგან ესე ვითარი მსწრაფალი მოქ-ცევა, მსწრაფლი გამომეტება თავისა თჳსისა და დათმობა, და საუ-კუნოსა დიდებისა და სუფევისა დამკვიდრება, დიდება მოწყალებასა და ცოდვილთ მოქცევასა კაცთ-მოყვარისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს მიერსა:

ამისა შედგომად განთიადი რა შეიქმნა, გამოვიდა ბრძანება უღ-მრთოთა მათ მთავართაგან აღრიკოლაოზისა, და ლუსიასი, რამეთუ შეამზადეთ ურემნი, და წარიღეთ იგინი ცეცხლსა შინა დასაწველად, და აღასრულეს სხვათა უღმრთოთა მტარვალთა ბძანებელი მათი, მოი-ღეს ურემნი და გამოიყვანეს წმიდანი იგი სულითა ძლითღა მშვინავნი, და დაულეწნეს წვივნი მათნი, და დასხნეს ურემთა მათ ზედა, და წარიღეს ველსა რომელსამე, და დაწვეს ცეცხლითა, რათა ნაწილნი მათ წმიდათანი, არა წარიხვანო ქრისტიანეთა, და არა თაყვანი-სცენო:

მაშინ იქმნა საწყალობელი სმენა, და მძიმე საურავი დედასა მის აბანოსა მას შესრულისასა, და დაიწყო სულთქმა და ტირილი ვითარმედ რასათჳს იგიცა არა ეწამა ქრისტესთჳს, და ვერ და-

უთმო განყინულსა მას ტბასა სიცივისასა: მსწრაფლად აღდგა, და განვიდა ქალაქისა მის გარე, და მიივლტოდა ტბასა მასთანა და შევიდა აბანოსა მას, და გამოათრევდა შვილსა თვისსა საყვარელსა, და ძლითღა სულდგმულსა, აღიკიდებდა მხართა თჳსთა ზედა, ჭრბაოდა მსწრაფლ, და უსწრა ურმებთა მათ, და ზედა მიაგდო შვილიცა იგი თვისი მათთანა, და ესრეთ იტყოდა, შვილო საყვარელო, ურწმუნოებასა შინა სიცოცხლესა შენსა, ქრისტესთჳს სიკვდილი უმჯობესად აღმიჩნდებისო დაღათუ შეიწვის ნწლევნი ჩემნი, მწუხარებითა დიდითა, არამედ ქრისტესთანა სასუფეველსა შინა დამკვიდრება შენი უმჯობესად მეოხება ჩემდა არსო:

ჰოოი საკვირველი სიყვარული ქრისტესი, მშობლისა დედისაგან შვილისა თჳსისა საყვარელისა ესე ვითარად გამომეტება და დათმობა:

ამისთვის ესე ყოველი შევისმინოთ მორწმუნენო შვილნო, ქრისტესნო, და განვკვირდეთ ან იმ წმიდათ მოწამეთაგან ამ საშინელს ყივნა სიცივესა ტბასა შინა გაძლება და მოთმინება და მერმე ცეცხლსა შინა დაწვა და სიკვდილი იმ უღმრთოთა და უსჯულოთაგან: მერმე იმათის ზედამდგომელის პირველ უღმრთოს იასულისაგან იმათის სასწაულისაგან, იმისი მალე მოქცევა, და იმისგანაც ქრისტესთჳს სიკვდილი და წამება:

და ახლა მშობლის დედისაგან თავისის საყვარელის შვილის ასე გამომეტება რომ იმისს სიცოცხლესა ქრისტესთჳს სიკვდილი უმეტესად აღირჩია, და ქრისტეს ძღვნად და შესაწირავად მხართა ზედა აღტვირთვითა და მაღიადითა შიშვლისა ფერკითა სრბოლითა მიართვა: და ჩვენ რა ვყოთ ქრისტიანენო რომ ვერცა ერთსა მცირესა რასამე შეწუხებას მოვითმენთ ჩუ̂ნის ცოდვილის სულისათჳს, ჩუ̂ნს საცხოვნებელსა თუ ქრისტეს მიმართს შესაწირავსა: და უფრო ვერც ჩუ̂ნს თავს აგრე იმ დედასავით გამოვიმეტებთ: მაგრამ ჩუ̂ნ რომ ჩუ̂ნი თავი იმ წმიდათასავით სიკვდილად არ მივსცეთ, თუ სხვა კეთილი გვაქვს რამე და ღუ̂თის-მოსაწონებელს საქმესა ვიქმთ, ჭეშმარიტად ღმერთი იმისთვისაც კეთილს გვაღირსებს, და საუკუნოს

სასუფეველისიგან არ გამოგვახვებს, და საუკუნოს დიდებასაც გვაღირსებს:

ჩვენი თავი რომ ამათსავით სატანჯველებში არ მივცეთ, ცოდვისა და სიბოროტისაგან ხომ შეგვიძლიან რომ ხელი ავიღოთ, ამპარტავანებისა, და ზვაობისა ყურისა და ინადისაგან, ჩხუბისა და შფოთისაგან: პარვისა, ტაცებისა, და სიხარბისაგან, ბილწის სიმთვრალისა, და მსიძაობისა, და საძაგლის არა წმიდებისაგან: მრახვისა და სხვათა მოყივნებისა, და ცოდვათა განმკითხაობისაგან: მცონარებისა, ზანტობისა, და ულოცაობისაგან, და კიდევ სხვისა და სხვის სიბოროტისაგან და ღ̂თისა და კაცთა შეცოდებისაგან:

მოიხსენეთ სულიერნო შვილნო ერნო ქრისტესნო, მწმიდათ ორმეოცთ მოწამეთ ეგოდენი სატანჯველი ქრისტესთვის დაითმინეს, დი ჭეშმარიტად რომ იქავ ზეციერი ნათელიც დაადგათ, და იმათს ერთს მცირეს ნაწილს აქა იქი დავქებთ ჭეშმარიტად თაყვანისსაცემელად და სასოებად, და საკურნელებად სულთა და ხორცთა ჩ̂ჳნთა: და ჩ̂ჳნ იმისთანას სატანჯველების მაგიერ რომ ეს მოვითმინოთ, რომ არავის ვაწყინოთ, არავის შევსცოდოთ, და არცავის წავეკიდნეთ, და კიდეც რო წაგვეკიდოს ვინმე, და გვაწყინოს, რა იქნება შვილნო რომ მოვითმინოთ, და ყური მოვარიდოთ:

შფოთი რომ არავის ჩამოუგდოთ, და ავი ენა არავის მიუტანოთ, და არცავინ დავძრახოთ, ეს რა ძნელი მოსათმენელია, არაფერი ჭეშმარიტად:

კვალად იმ წმიდათ ორმეოცთა ქრისტესთჳს წამებულთა, და სხვათაც მრავალთ წმიდათა ქრისტეს სიყვარულისათვის, და ცხოვნებისათვის ეგოდენი მწარე სატანჯველები დაითმინეს, და შენ ქრისტიანევ, და წმიდის ნათლისღების შვილო, წელიწადში ერთხელ მაინც აღსარება რომ სთქვა, და ერთი კვირაც არის იმარხო, და წმიდა ზიარება მიიღო ჩ̂ჳნის სულისა და ხორცის გამკურნებელი, მითხარ შვილო რა ძნელი სატანჯველია, ან რა ძნელი მოსათმენელია, და ან რა დასაზარებელია: და ესეც მითხარ მაშ უამისოდ აბა რაღა ქრისტიანე გქვიან, არაფერი ჭეშმარიტად:

იმ წმიდათ ორმეოცთა მოწამეთა, და სხვათაცა, ძლიერთა და მძლავრთა მეფეთაცა და სხვათა ურწმუნოთაცა, და ეშმაკისა და კერპის მიმყოლელთ დიდის კადნიერებით ამხილეს და არცხვინეს ემაგ ეშმაკისა როგორა გწამთო, უფალი იესო ქრისტე აღიარეთო, თქუენი სასოება იმაზედ დასდევითო, და ჩუენი ხატი და ჯვარი იწამეთო, და შენკი ესეები დაგიტევებია და ერთს აყროლებულს მკითხავს ეკითხები, წმიდავ ქრისტიანო, და წმიდას ნათლისღების შვილნო, შენი სასოება ჯვარი და ხატი, წმიდა წირვა და ლოცვა, და წმიდაჲ სახარება, და ქრისტეს მაგიერნი მღუდელნი, ესეები გარდაგიგდია დაგიტევებია, და ერთ უგუნურს და უცებსა კაცსა თუ დედაკაცს ეხვეწები ეს საქმე ასე მომიხდაო, და რავქნა შემიტყუე რამეო, რასაც მე შენ მიბძანებო, მე იმას დაგიჯერებო, არა გრცხვენიანთა ამის მოქმედსა ვინც ამას ჩასდიხარო, თუ ღმერთი გწამსთ წმიდას ღუთისმშობელს ატყუებთ ყოველი სასოება მეზედ დამიძსო, და ეშმაკის მოლაპარაკესკი, ეკითხები, იმასთან დარბი, და იმისი გწამს და შენს თავს ქრისტიანს უწოდ: ჭეშმარიტად რომელიც მღუდელი ამისთანას ან უწირავს, ან ულოცავს, ან აზიარებს, ან დამარხავს შეჩვენებული იქმნება, ყოველთავე ეს ასე გაიგონეთ დაიჯერეთ, და შეიმინეთ რომ ჩუენი ქრისტიანობა, და სჯულის კანონი ასე დაგვიწერს, და ასე გვიბძანებს:

იმ წმიდათ ორმეოცთ მოწამეთა, ეგოდენის სატანჯველებით ქრისტესთვის თავი აწამეს რომ ამ სოფლიერადაც იდიდნენ და ზეცისდამ ნათლის გვირგვინი დაიდგეს, და იმ სოფელს ხომ საუკუნოდ იდიდნენ, და შენ ქრისტიანო, ღუთისბძანებით დადგინებულთ მამათ განწესებული მარხვა რომ, არ წარიო, და არა სჭამო, და ცოტას ხანს მოითმინო, და შენს მუცელს გააძღებინო, რა გაჭირება, და რა ძნელი მოსათმენელია, და არც ცეცხლითა, და არც სატანჯველების მსგავსი მოთმენა ჭეშმარიტად:

კვალად ამავ დასაბამიდგან რომ ღუთის ჴელი დაგვიწერს, და მოსე წინასწარმეტყველის პირით გვიბრძანებს „დღესასწაული ჩემი

დაამარხეთ, იმ დღესასწაულისა, და იმ ერის კვირას დღესა, და უქ-
მეს რომ დაისვენო, და წირვა და ლოცვა მოისმინო, ღუთისბრძა-
ნების მორჩილი ხომ ღუთისაგანაც იკურთხები, და შენს ქრისტეს
შვილებასაც ადიდებ: და თუ ასე არა იქმ, შენს გონებაში გასინჯე, რომლის
სჯულისა ხარ რომ უქმესა დ კვირას არ შეინახავ, ძველს სჯულში გვიწერია,
უსჯულოებმაც ხომ იციან, დ ქრისტიანობაც დაგვიწერს დ ვის მივცეთ პა-
სუხი, ძველსა თუ ახალსა, ეს ვიცოდეთ რომ მარტო ნათლისღება ჩუენ ვერ
გვაც ხონებს, თუ სხვა' კეთილი არა გვაქვს რა, დ კეთილი არა მიგვიძღვის რა:

კვალად ღმერთი გვიბძანებს იმავ პირველს ბძანებაში მოსეს
პირითა „პატივ-ეცი მშობელთა შენთა, და შენ რომ უპატიურად და
შეურაცხად მოეპყრობი მშობელთა შენთა მამასა თუ დედასა, ამას
ღმერთი შენ როდის დაგითმობს რომ იმისის ბძანებას შეურაცხ-ჰყოფ,
და არაღ მიგაჩნია რომლის ძალითა ხარ ღუთის-წინაღმდეგი, მამისა
და დედისა მაგინებელო წაიკითხე ღუთისბძანება, დ ღმერთის პასუხი მიეც:

და ან შენ მშობელო, მაგ შენს შვილებსა თუ უმცროსებსა
რომ იმავ სიყრმითგან ღუთის მოშიშებით არ გასწვრთი, და კეთი-
ლად არ დაზრდი, ეს არ იცოდი რომ აღარცარას შენ გაამებდნენ, და ახლა
მაგ შენის უპატიურობას ღმერთი შენ შვილებსაც შერისხავს, და
მაგათი ცოდვა შენც მოგეკითხება, და ღუთისაგან იზღვევი იცოდე,
და ეს ბძანება მეზობლებმაც გაიგონონ, და შვილებმაცა:

ღმერთი გვიბძანებს, საღმრთოს კაცის პატივის-ცემასა, და სი-
ყვარულსა, და სასოებასა, და იმაზედ მოწყალებასა, და ეგრეთვე
ქვრივისა და ობლისა შეწყალებასა და გლახაკისასაცა შებრალებასა, და
შენ რომ წმიდას ქრისტეს უკვდავის მსხვერპლის შემწირველს მღუ-
დელს შეურაცხ-ჰყოფ, აგინებ, და უპატიოდ მოეპყრობი, ეს არ იცი
რომელს რისხვაში შევარდები და რა მოგევლინება, ღუთისაგან, და
რას საშინელს სამართალში განიკითხები: და აგრეთვე ჩუენ სამღუდე-
ლო კაცთაც რომ ღმერთი, და სჯულის კანონი ერის მოვლას გვიბ-
ძანებს, ერის სწავლებას, ლოცვასა, წირვასა, და კეთილად გაძღოლასა,
ვითარცა მწყემსისა კეთილისაგან ცხოვართა თჳსთა;კეთილისა საძოვარსა

ზედა წინაჲმღომასა, და მხეცთაგან დაცვასა, და ჩუენ რომ ამაებს ასე არ აღვასრულებთ არც ერნი სამღუდელოს პატივის-ცემით, და არც სამღუდელონი ერის მოვლით, არიცით ან ღუთისაგან, როგორი მოგვეკითხება როგორ დავისჯებით, და ან ამავ სოფელსა როგორ სირცხვილი დაგვედება თორემ იმ საშინელს საუკუნოსა ხომ ვიცოდეთ და ვიცოდეთ რომ ამისმეტი პასუხი არა მოგვეცემა, „წარვედით ჩემგან წყეულნო: ვაჲ ამ ხმის გამგონესა:

კვალად გვიბრძანებს საღმრთოწერილი ვითარმედ „დაემორჩი-ლენითო უფალთა თქუენთა: უფალი მებატონესაცა ჰქვიან, და ჩუენს უფროსებსაცა: და იმათაც ასე უბძანებს რომ თავეთ უმცროსთა, და ყმათა და მონათა გულსმოდგინებით უვლიდენ, და მოწყალებით და შებრალებით უძღოდენ, და არა თუ უწყალოებით და უსამართლოდ ექცეოდენ: და ჩუენ რომ ამაებს არც ერთნი არა ვყოფთ არც უფ-როსნი, და არც უმცროსნი ამისთანას ერთგულებას არ აღვასრულებთ, ვიცოდეთ ყოველთავე რომ ღუთის თვალი გვხედავს მდიდარსაცა და გლახაკთაცა, სამღუდელოთაცა და საეროთაცა, უფალთაცა, და მონა-თაცა, და ის საშინელი ღმერთი თავისს ბძანებას არასდროს გარე არ მიაქცევს; რაც უბძანებია, და კიდევ იმის ბძანებითაც რაც დაწე-რილია, იმისი წაშლა წაფხეკა და დარღვევა არას დროს აღარ იქნება ვითარცა თჳთ ბძანებს, ვითარმედ „ცა და ქუეყანა წარხდესო, და სიტყუანი ჩემნი არა სადა წარხდეს“. იმისი ბძანება და სიტყუა, იმის ბძანების ურჩებზე ორსავ სოფელს შერცხვენა და წარწყმედა არის, და მორჩილზედ და იმის ბძანებაზედ გამგონეებზე ღუთისმადლით ამ სო-ფლიერადაც კეთილად მისაგებელი არის, და იმ საუკუნოს ხომ ესარის „მოდით კურთხეულნო და დაიმკვიდრეთო სასუფეველი, რომელსა ღირსცა ვართ მოწყალებითა მისითა რომელსა ჰშვენის პატივი დი-დება და თაყვანისცემა, აწ და საუკუნოდ, და უკუნისამდე ამინ:

# № 12—წიგნი მეთორმეტე.

## მოკლე ახსნა სიმბოლო სარწმუნოებისა.

რომ სათნო ვეყოთ უფალსა და ვაცხოვნოთ სული თჳსი არა სხუა-ფრივ არ შეიძლება, როგორც მხოლოდ ვირწმუნოთ ღმერთი ყოვ-ლითა გულითა და აღვასრულოთ წმიდა ნება ღუთისა.

ჴრწმუნებად ღუთისას გვასწავლის ჩუენ სიმბოლო მართლმადი-დებლობის სარწმუნოებისა, შედგენილი ორთა პირველ მსოფლიო კრე-ბაებში: ნიკეისა და კონსტანტინეპოლისა, მეოთხე საუკუნეში შემდგო-მად ქრისტეს შობისა. იგი წაიკითხება ღუთისა ეკკლესიაში, თჳთეულ წირვა-ლოცუაზედა, და თჳთეულმა მართლმადიდებელმა ქრისტიანემა უნდა ჯერეთ მტკიცედ იცოდეს და მალ-მალე განიმეორებდეს თავის ლოცუაში სიმბოლოსა ანუ აღსარებასა მართლმადიდებელის სარწმნოე-ბისასა.

ადვილ გაგონებისათჳს სიმბოლო სარწმუნოებისა განიყოფება იბ ნაწილებად ანუ წ ე ვ რ ე ბ ა დ. პირველი წევრი სიმბოლ სარწმუნო-ებისა წაიკითხება ესრეთ: ა. „მრწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისა-მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.„

ღმერთი არს არსებით ერთი, ხოლო პირებით სამი: მამა, ძე და სული წმიდა. „ღმერთი ჩუენი„—ამობს წ მ ი დ ა ტ ი ხ ო ნ ი ზა-დონელი—*) არს წმიდა სამება: მამა, ძე და სული წმიდა, არა სამი

---

*წმიდა ტიხონი იყო შვილი დიაჩოქისა ნოვღოროდის გუბერ-ნიაში ვალდაის უეზდს სოფელს კოროცკის სახბა კირილოვისა. დაი-ბადა ჩღკდ-სა წელში და ეწოდა სახელი ტიმოთე. ჩღნჱ—წელში არ-ხიეპისკოპოსმა დიმიტრიმ აღკვეცა მონოზნად, და უწოდეს სახელი ტიხონი. შემდგომ ამისა წმიდა ტიხონი დანიშნეს არხიმანდრიტათ

ღმერთნი, არამედ ერთი ღმერთი. ერთი ღმერთი არსებითა, ხოლო პირებით სამი: ღმერთი მამა, ღმერთი ძე, ღმერთი სული წმიდა. ამა სამთა ღმრთაებრივ პირთა — ერთი არსება, ერთი ნება, ერთი სიმტკიცე, სუფევა, ძალი დიდება; არა ვინ უმცირესი, არავინ უხუცესი არამედ თანასწორ შემძლე, თანასწორ ძლიერი, თანასწორ პატივსაცემელი, სამპიროვანი. ღმერთი მამა არა შობილ არს, ძე შობილ არს მამისაგან და სული წმიდა იმავე მამისაგანვე გამოვალს„ ( ТОМЪ III. стр, 3 ).

რომ ერთი ღმერთი არს არსებასავე შინა თჳსსა, ამას ვერავინ მისწუდება. არათუ მხოლოდ კაცნი, არამედ თჳთ ანგელოსნიცა ღმრთისანი. ისიც საკმაო არის ჩუენის ცნობებისათჳს, რომ ვიცით ისა, რასაც გვიცხადებს ჩუენ საღმრთო წერილი ღმერთზედ, რომელიც ამბობს, რომ სამებით ერთი ღმერთი არს სული საუკუნო, ე. ი. არა აქუს არცა დასაბამი, არცა დასასრული მყოფობისა თჳსისა, არამედ ყოველთჳს იყო, არს, და იქმნება. მას ყოვლად სახიერსა ჰსურს ერთი კეთილი და იქმს ერთსა კეთილსა; ყოვლისა-მცოდნე, ამისთჳს, რომ

---

თვერის ოტროჩის მონასტერში. ჩღნთ-სა წელში, ოცდა ჩვიდმეტი წლისა აკურთხეს ეპისკოპოსად ნოვღოროდის სავათეთროზედ. ჩღჲბ-სა წელ., შემდგომ გარდაცვალებისა ვორონეჟის ეპისკოპოზისა იოანნიკესა, ნაცვლად მისსა, დანიშნეს ყოვლად-სამღუდელო ტიხონი. აქ იმწყემსმთავრა მხოლოდ ოთხი წელიწადი და შვიდი თჳე, და ჩღჲზ-სა წელსა დაეთხოვა თანამდებობიდგან, შტატ-გარეთ, და დაემყარა ტოლშევის მონასტერში ( 40 ვერსით ვორონეჟიდგან ), შემდგომ გარდასახლდა ზადონის მონასტერში (90 ვერსით ვორონ.) და დაადგრა ვიდრე სიკვდილამდე. ჩღპგ-სა წ. შემდგომ მრავალ-ღუაწლითის ცხოვრებისამარხვითა და ლოცვითა, მიიძინა მშვიდობით უფლისა-მიმართ, ჩყმდ-სა წ. როდესაც აშენებდნენ ზადონის მონასტერში ახალ ტაძარსა. მაშინ იპოვეს გვამი წმ. ტიხონისა სრულებით შეურყენელი და მდებარე უხრწნელად, რომელსა ზედაც გამოჩნდა მრავალი სასწაულები. ამაზედ მოახსენა უწმიდეს სინოდსა ვორონეჟის ეპისკოპოსმა ანტონიმ. შემდეგ ჩყჲ-სა წ. კიდევ გაუმეორა სინოდს ყოვლად-სამღუდელო იოსებმა, და წარუდგინა კიდეცა მოწმობები და ჩუენებაები ზადონის მონასტრის მონოზნებისა წმ, ტიხონის სასწაულთ-მოქმედებისა. უწმიდესმა სინოდმა წარუდგინა თავისის აზრებითა კელმწიფე იმპერა-

იცის და ხედავს ყოველსა რაჲცა კეთდება ქუეყანასა ზედა ანგელოზთა და კაცთა შორის. იგი ხედავს არა მარტო საქმესა, არამედ სურვილსა და განზრახვასაცა ჩუენსა. უფალი არს ყოვლადმართალი, მისთჳს რომ იგი თჳთოეულსა ყოვლის პირმოთნეობითა მიაგებს საქმეთაებრ თჳისა. იგი არს ყოვლად შემძლებელი, ამისათჳსა რომ, მისთჳს არა რაჲ არს შეუძლებელი, რასაცა მოისურვებს ყოველივე იქმნება. უფალი არს ყოვლგანმყოფი, ამისათჳს, რომ იგი ყოველგან იმყოფება, და არა არს ისეთი ადგილი, რომ იგი არ იყოს. მისის ყოვლადმყოფობისაგან, სიტყჳსაებრ ფსალმუნთ მგალობელისა, არ შეიძლება დამალვად თჳთ ჯოჯოხეთშიცა. უფალი არს უცვალებული, ე. ი. იგი არა იცვალების არცა არსებასავე შინა თჳსსა, არცა აღთქმასა შინა თჳსსა არცა მფლობელობასა შინა თჳსსა. იგი არს ყოვლადკმაყოფელი და ყოვლადნეტარი.

სამებით ერთმა ღმერთმა შექმნა ცა და ქუეყანა, ყოველი ხილული და უხილავი, ე. ი. ქუეყანა და ყოველი მას შინა და მას ზედმყოფი; ქუანი, მცენარენი და ცხოველნი: მან შექმნა კაციცა სახებისაებრ და მსგავსებისაებრ თჳსისა, ე. ი. შექმნა იგი უკუდავი სულითა, მინიჭებულის გონებითა, ნებითა და გრძნობითა, დაადგინა იგი მეუფედ ქუეყანასა ზედა ყოველთა ხილულთა ქმნილებათა. უფალმა შექმნა ცა და ყოველი, რასაცა ჩუენ მას ზედ ვხედავთ, ე. ი. მზე, მთვარე და ვარსკვლავები. სიტყჳსაებრ ღჳთისა, ველმან ღჳთისამან დააფუძნა-

---

ტორსა ესე დოკუმენტები, რომელმანცა ინება საკუთარის კელის მოწერა მას ზედა: „თანხმა ვარ უწმიდესის სინოდის აზრსა„.
იგ-სა აგვისტოსას ამავე ჩყჲ-სა წ. ყოვლადსამღუდელო მიტროპოლიტმა ისიდორემ სამის არქიერითა, არხიმანდრიტებითა და სხუა სამღუდელო კრებითა, სულ ორმოც კაცამდინ, დიდის დღესასწაულობითა და პატივითა აღმოიყვანეს ნაწილი წმ. ტიხონისა და დაასვენეს გამოჩენილ ადგილსა საზოგადო თაყვანისცემისათჳს მორწმუნეთა. და დღევანდლამდის, რომელიცკი სასოებით შეეხება მას მიიღებს კურნებასა სულისა და ხორცისასა. მისითა მადლითა და მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხონე სული ჩუენნი, წმ. ეკკლესია ყოფს ხსენებას მისსა იგ-სა აგვისტოსა.

ქუეყანა და მარჯვენამან მისმან დაამტკიცა იგი. უფალმა შექმნა უხილავნი ანგელოზნიცა, სულნი უსხეულონი, უფალმა შექმნა თჳთ მტერნი ჩუენნი ეშმაკნიცა, რომელნიც მან შექმნა პირველად კეთილნი, გარნა თჳსის ამპარტავანებითა შეიქმნენ ბოროტ სულებად. ყოვლად-შემძლებელის ღმრთის სიტყჳთ, წარმოდგა არა რაჲსაგან ყოველი ქუეყანა ექუსთა დღეთა შინა.

სამებით ერთმა ღმერთმა არ დაავდო თჳსი ქმნილება უპატრონოთა, იგი მამობრივის სიყუარულითა ზრუნავს მათთჳს, ყოვლს დიდიდგან პატარამდინ იპყრობს თჳსსა ხელშია, და მფლობელობს ქუეყანაზედა. უფლისაგან მოგვეცემის კეთილ ნაყოფიერნი წვიმანი, მზიურნი, სითბონი, კეთილ-შეზავებულნი ჴაერნი და უხვნი ნაყოფნი ქუეყანისანი. მისივე ყოვლად-სახიერების ნებითა შთაგონებისათჳს ცოდვილთა, ანუ სხუა რომლისამე მიზეზისათჳს, ქუეყანაზედ იქმნებიან: შიმშილნი, ღელვანი, ცეცხლნი, მომსჴრელნი სენნი და სხვანი უბედურებანი. იგი აღაშენებს სამეფოთა, დაადგენს მას შინა მეფეთა და სხუათა მთავართა. უფალმა მოინება შექმნა ქუეყნისა, რათამცა, სიტყჳსაებრ წინასწარ-მეტყუელისა, ცანი უთხრობდნენ დიდებასა ღმრთისასა, და ყოველი ქუეყანა აღვსებულ იყოს დიდებითა უფლისა საბაოთისა (ისაი. თ. 6, მ. 3), და რათა ყოველი ქმნილება, ადიდებდეს რა უფალსა, თჳთვე იხარებდნენ და ინატრებდნენ.

ბ. „და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანა არსი მამისა რომლისაგან ყოველი შექმნა“.

მეორე პირი წმიდისა სამებისა არს ძე ღმრთისა ჭეშმარიტი ღმერთი, როგორათაც ღმერთი მამა. ძე ღმრთისა იშვა ყოვლად-წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან ქუეყანასა ზედა და ეწოდა სახელი იესო, ე. ი. მაცხოვარი. ჩუენ ეგრეთვე იესოს უწოდებთ ქრისტედ, ე. ი. ცხებულად, ამისთჳს რომ მას ზედ განისვენებენ ყოველნი ნიჭნი სუ-

ლისა წმიდისანი. იესო ქრისტე უდიდებულესი წინასწარ-მეტყველი, უწმიდესი მღუდელ-მთავარი და ყოვლად-შემძლებელი მეფე. ძე ღუთისა ღუთაებისაებრ თჳსისა იშვა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა ღუთისა მამისაგან, ე. ი. ყოველთა ჟამთა, და ამისათჳს ჩუენ არ შეგვიძლიან გამოთქმად, თუ როდისმე ძე ღუთისა არ იყო. იგი არს საუკუნო, როგორათაც მამა ღმერთი. ძე ღუთისა იშობა ღუთისა მამისაგან, ვითარცა ნათელი იშობების ნათლისაგან. ღმერთი მამა და ღმერთი ძე არს ჭეშმარიტი ნათელი. მხოლოდ ნათელი შეუქმნელი, არათუ ის ნათელი, რომელშიაც ჩუენ ვხედავთ—საგანთა, რომელიც ათბობს და ანათებს, არამედ ნათელი სულიერი, საუკუნო. ესე ნათელი აღემატების ყოველთა მზიურთა სხივთა, და იქმნება როდესმე ნაცვლად მზისა და მთუარისა განანათოს, შემდგომად ამა სოფლის დასრულებისა, როდესაც დადგება საუკუნო ნეტარებითი ცხოვრება. ძე ღუთისა თანასწორი ერთითა არსებითა ღუთისა მამისათანა.

გ. „რომელი ჩუენთჳს კაცთათჳს და ჩუენისა ცხოვრებისათჳს გარდამოხდა ზეციდ და ჴორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცდა.

ძე ღუთისა მორჩილებისათჳს ღუთისა მამისა თჳსისა და სიყვარულისათჳს კაცთადმი, გარდამოხდა ზეცით, იშვა წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან, უმამოდ, სულის წმიდის მოქმედებითა, და შეიქმნა სრულ კაცად, თჳნიერ ცოდვისა, თუმცა იმ ჟამად არ დააგდო თჳსივე ღუთაება.

რაჲსათჳს ძე ღუთისა გარდამოხდა ზეცით?—ჩ უ ე ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა თ ჳ ს. კაცნი შეიქმნენ ნეტარებისათჳს და პირველადვე ჰსტკბებოდნენ ამა ნეტარებითა, იყვნენ უკუდავნი და უცოდველნი, ჰსცხოვრობდნენ სამოთხეში ღმერთთანა, ყოველნი ქუეყნიურნი ცხოველნი მხეცნი და მფრინველნი ემორჩილებოდნენ მათ. გარნა ესე კაცნი მალე მოაკლდნენ სამოთხის ნეტარებასა, როდესაც დაარღვიეს მცნება ღუთისა. და ამა პირველი ცოდვისათჳს, უფალმა გამოაგდო კაცი სამოთხისაგან, და მოაკლო სამოთხის ნეტარებასა, დასწყევლა იგი ყოველთა ქმნილებითა და ყოვლითა შთამომავლობითა. შემდგომ უბედუ-

ჩებოაუბმა შეიპყრეს საწყალი კაცი: გონება მისი დაბნელდა, ნებასა შინა მისსა გამოიხატებნენ მიდრეკილებანი ბოროტისადმი, მხეცნი, რომელნიც პირველად იყვნენ მის მორჩილებასა ქუ̂ეშე, ეხლა შეიქმნენ გაცოფებულნი და ბოროტნი,—უცქეროდნენ კაცსა, ვითარცა თჳთ მტერსა; ცეცხლი, ჴაერი, წყალი და მიწა იმა დრომდინ იყვნენ კაცისათჳს დამატკბობელნი და სასარგებლონი, და ეხლა შეიქმნენ მაწყინარნი მისა. იმავე დროშივე ეშმაკთაც მიიღეს უფლება კაცზედა. ესეთი სამწუხარო დროება მოიწია მთელ კაცობრივ ნათესავზედა, მისთჳს, რომ რადგან ყოველნი კაცნი წარმოდგებიან შემცოდველის და დასაჯულის ადამიდგან. ამა საშინელის წარწყმედისათჳს მოვიდა უფალი ცხონებად კაცთა, განკორციელდა რა წმიდის ქალწულისა მარიამისაგან.

უფალი ჩუ̂ნი იესო ქრისტე იშუ̂ა ქუ̂ეყანასა ზედა არა თუ ისრეთ, როგორც იშობებიან ჩუ̂ეულებრივ ყოველნი კაცნი. შობა მისი იყო უტკივნელი, უცოდველი, სრულებით წმიდა, და რომელსა ზედაცა გამოჩნდნენ მრავალნი სასწაულნი. და წმიდა ქალწული მარიამიცა რომლისაგანაც უფალმა მიიღო კორცი, როგორც იესო ქრისტეს შობამდინა იყო ქალწული, ეგრეთვე ჟამსა შობისა, და შემდგომად შობისაცა დაადგრა ყოველთჳს ქალწულადვე; ამისთჳს წმიდა ღუ̂თისადედა იწოდება მ ა რ ა დ ი ს-ქ ა ლ წ უ ლ ა დ. იგი მდლითა თჳსითა უმაღლეს არს ანგელოსთა, მთავარ-ანგელოსთა, ჴერუვიმთა და სერაფიმთა.

დ. „და ჯუ̂არს ეცუ̂ა ჩუ̂ნთჳს პონტოელისა პილატეს ზე, და ივნო და დაეფლა.“

ძე ღუ̂თისა იყო ჯუ̂არ-ცმული იუდეებთაგან იმ დროსა, როდესაც იუდეებზედ უფლობდა რომის მთავარი პონტიოს პილატე. უფალი იყო ჯუ̂არ-ცმული ორთა ავაზაკთა შორის. იგი, იყო რა უბრალო და სრულებით უცოდველი, ევნო ცოდჳსათჳს ყოველთა კაცთასა, რომელნიც წინათ ჰსცხოვრობდნენ, ეხლა ჰსცხოვრებენ, და შემდგომშიაც იცხოვრებენ. გარნა უფალი ევნო არა თუ ღუ̂თაებითა თჳსითა, არამედ კაცობრივითა. ძე ღუ̂თისა მოკუ̂და ჯუ̂არსა ზედა და დაიფლო, ვითარცა კაცი.

ვნება უფლისა იესო ქრისტესი იყო ნებითი და თავის-უფლებითი, და არა ძალდატანებითი. მას შეეძლო, რომ არა ვნებულ-იყო; მთელნი შეკრებულებანი მტერთა მას ძალას ვერ დაატანდნენ მისთჳსა, უკეთუ თჳთ მას არ მოენებებინა ვნება და სიკჳდილი კაცთა-თჳს. უფალმა თჳსის სიკვდილითა მოწყალე-ჰყო ღმერთი, რომელიც იყო განრისხებული ცოდვილ კაცზედა; მოხსნა კაცთა წყევა, დასთგრუნა, სიკჳდილი და ეშმაკი, უჩვენ ამათ გზა სამოთხისა და მისცა მორწმუნეთა თჳსთა წინამძღვარი, სული წმიდა. აწ თჳთეული მორწმუნე ქრისტესი, რომელიც-კი მიბაძავს ცხოვრებითა და საქმითა, ჰსცხონდება და იცხოვრებს ქრისტესთანა.

ე. „და აღსდგა მესამესა დღესა მგზავსად წერილისა„.

უფალი იესო ქრისტე, შემდგომად სიკჳდილისა თჳსისა, აღსდგა საფლავით, ვითარცა იყო წინათ თქმული წინასწარ-მეტყველთა მიერ ძალითა ღმრთაებისა თჳსისათა, აღსდგა იმავე კორცითა, რომლითაცა ჰსცხოვრობდა ქუეყანასა ზედა, და მით დაარწმუნა ყოველნი მორწმუნენი თჳსნი, რომ როდისმე იგინიცა აღსდგებიან და იცხოვრებენ საუკუნოდ უფლისათანა.

იესო ქრისტე, ჟამსა სიკვდილისა თჳსისა, კორცითა იმყოფებოდა საფლავში, ხოლო სულითა შთავიდა ჯოჯოხეთში ადგილსა ბნელსა, სადაცა იყვნენ ცოდვილნი და სულნი ბოროტნი, და ახარა ძლევა სიკჳდილითა, და გამოიხსნა ყოველნი სულნი, რომელნიც-კი სარწმუნოებით მოელოდნენ მას.

ვ. „და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა„.

იესო ქრისტე, განსწავლა რა თჳსნი მოწაფენი და ყოველნი, რომელნიც-კი შეუდგნენ კუალსა მისსა, ზეციურის სასუფეველის საიდუმლოებითა, მეორმოცესა დღესა, შემდგომად აღდგომისა თჳსისა, ამაღლდა ზეცად ხორცითა თჳსითა, და მიიღო ერთი ღმრთისა მამისათანა იგივე ძალი, დიდება და უფლება, რაჲცა აქუნდა მას. და ესრეთ კაცობრივი სახე იესო ქრისტესი ღირს-იქმნა ისეთ პატივსა, რომელიც თჳთ ანგელოზთაც არა აქუთ.

ზ. „და კჳალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკჳდართა, რომლისა სუფევასა არა არს დასასრულ“.

უფალი იყო კჳალადვე მოვალს ქჳეყანასა ზედა; გარნა მეორეთ მოსჳლა მისი იქნება ფრიად განრჩეული პირველისაგან. უფალი პირველად მოვიდა სიმდაბლითა და სიღარიბითა, იგი იშჳა ერთ ღარიბ გამოკვეთილ ქჳაბში, დაითმინა ქჳეყანასა ზედა დევნანი, უკადრებანი, ჯჳარითი ვნებაჲ, და ბოლოს მიიღო მოწამეობითი სიკჳდილი. გარნა მეორეთ მოვალს უფალი დიდებითა და ყ ო ვ ე ლ ნ ი  წ მ ი დ ა ნ ი  ა ნ გ ე ლ ო ს ნ ი  მ ი ს თ ა ნ ა. პირველად უფალი მოვიდა მისთჳს, რომ გამოვეხსენით ჩუენ ცოდჳსა, წყევისა და სიკჳდილისაგან. მეორედ მოვა იგი განსჯად ყოველთა კაცთა, როგორც ცოცხალთა, რომელნიცაკი დაესწრობიან მის დიდებულებით მოსჳლასა, აგრეთვე მკჳდართა, რომელნიც ყოვლად შემძლებელის მისის ძალითა ყოველნი აღსდგებიან. ამ საშინელ საზოგადო ქრისტეს სასჯელზედა გამოაჩენს სინიდისი კაცისა არა თუ მხოლოდ მარტოდ საქმეთა, რომელნიც-კი უქმნიეს სიყრმიდგან ვიდრე უკანასკნელ სიკჳდილამდე, არამედ იმა საიდუმლოთაცა, რომელიც გაუვლია ანუ განუზრახავს გულში; გამოაცხადებს მათ მთელ ქჳეყანის წინა, არა თუ მარტო კაცთა წინა, არამედ ანგელოსთა წინაცა.

პირველი მოსჳლა უფლისა იყო წინათ-თქმული წინასწარ-მეტყველთა მიერ ისე ცხადად და ზედმიწევნით, რომ შესაძლებელ იყო განესაზღჳრათ თჳთ დროებაცა, როდესაც უფალმა კეთილ-ინება გარდამოსჳლა ზეცით ქჳეყანასა ზედა და მიღება კაცობრივისა კორცისა ქალწულისა მარიამისაგან. ხოლო მომავალი მოსჳლა მისი არავინ უწყის. ესე საიდუმლო არა თუ მარტოდ კაცთათჳს, არამედ თჳთ ანგელოსთათჳსაც ძნელი გამოსაცნობია. დღე უფლისა, იტყჳს წმ. მოციქული პავლე, ვითარცა მპარავი ღამისა, ეგრეთ მოვიდეს, და უეცრად დასცეს კაცთა ყოვლად-მოსჳრვა.

მარამ წმ. სახარებაში უფრო კარგათ არის გამოცხადებული რომელნიმე ნიშნები მეორეთ მოსვლისანი; ესენი არიან: დამცირება სარ-

წმუნოებისა და სიყვარულისა კაცთა შორის, გამრავლება ბიწიერებათა და უსჯულოებათა, ქადაგება სახარებისა ყოველთა ხალხთადმი, მოსვლა ანტექრისტესი, ესე იგი წინააღმდეგი ქრისტესი, რომელიც ეცდება ქრისტიანობრივის სარწმუნოების დარღვევასა, მარამ, ნაცვლად მისა, თვით იგი საშინელის სახით წარწყმდება. შემდგომად ამა საზოგადო საშინელისა განსჯისა უფალი აღადგენს დიდებულ სამეფოსა, რომელსა შინა ექმნებათ მონაწილეობა ჭეშმარიტთა მორწმუნეთა მისთა და წმიდად დამმარხველთა ღვთისა მცნებისა, და რომლისა სუფევისა არა არს დასასრული.

ჱ. „და სული წმიდა უფალი, და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისათანა და ძისათანა თაყვანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარ-მეტყველთა მიერ,!

მესამე პირი წმიდისა სამებისა სული წმიდა არს ეგრეთვე ჭეშმარიტი ღმერთი, ერთისა არსებისა ღვთისა მამისათანა და ძისა ღვთისათანა. იგი მიანიჭებს ცხოვრებასა ქმნილებათა, და განსაკუთრებით სულიერ ცხოვრებასა კაცთა. სულის წმიდის შემწეობითა კაცსა ჰსწამს ღმერთი, სასოებს ღმერთზედ, ლოცულობს ღმერთსა, უყვარს ღმერთი, აქებს და ადიდებს ღმერთსა.

სული წმიდა, განისვენებს რა ყოველთა ჭეშმარიტ მორწმუნეთა ზედა, განაცხოველებს სულსა მათთა და განსწავლის ჭეშმარიტებითა. უდიდებულესნი ნიჭნი სულისა წმიდისანი, რომელნიც არიან მისაწთომელნი მორწმუნეთადმი, აღრიცხვისა მებრ წინასწარ-მეტყველის ისაიას მიერ, არიან შემდგომნი: სული შიშისა ღვთისა, სული ცნობისა, სული ძალისა, სული რჩევისა, სული მეცნიერებისა, სული სიბრძნისა, სული უფლისა, ანუ ნაჭი კეთილ-მსახურებისა (ისაი თ. 11, მ. 1-3).

ცხოველ მყოფელი სული წმიდა წინა საუკეთგან გამოვალს ღვთისა მამისაგან მას ეფერება თანასწორ მამისა და ძისათანა თაყვანის-ცემა და დიდება, ვითარცა ჭეშმარიტ ღმერთსა,

სული წმიდა, უწინდელ დროში, უბნობდა, პირითა წინასწარ-მეტყველთა და მოციქულთა, როდესაც იგინი გვახარებდნენ ნებასა ღვთი-

სასა, ცხოვნებისათჳს კაცთასა, ანუ ჰსწერდნენ საღმრთო წიგნებს. სული წმიდა ისე ახლო იყო იმათ ზედა, რომ იგი შთააგონებდა მათ არათუ მარტო ჰაზრთა, არამედ სიტყუებსაცა; მაშასადამე ყოველნი საღმრთო წერილები არიან ჰსწავლანი სულისა წმიდისანი

თ. „ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესია.

ადვილ-კელმძღვანელობისათჳს კაცთა ცხოვნებისადმი უფალმა დაადგინა ქუეყანასა ზედა ეკკლესია, ეკკლესია არს საზოგადო შეკრებულება კაცთა-თჳს შორის ერთის ჭეშმარიტის სარწმუნოებითა ღმრთისადმი, ერთის სჯულითა ღმრთისათა, ერთითა საიდუმლოებითა. ამა საზოგადოებაში სახილველად ყოველთა, უფალმა დაადგინა მწყემსნი, ხოლო თჳთ უხილავად შეიქმნა თავად ეკკლესიისად, აღთქუა რა მყოფობა თჳსი, მორწმუნეთა თანა დასასრულადმდე სოფლისა. უფალმა მისცა ეკკლესიასა თჳსსა ისეთი ძალი და უფლება, რომ იგი ერთი აღმოშობს კაცს სულიერ ცხოვრებაში, განადიდებს და განამტკიცებს მას შინა, და მიიყვანს ცხოვნებისადმი ანუ საუკუნო ნეტარებისადმი.

თჳნიერ ეკკლესიისა, ესეთი უფლება არავის არა აქუს, და ეკკლესიის გარეთ კაცი ცხოვნებას ვერ ეღირსება. ნეტარი თეოდორიტე ამბობს; „ეკკლესიის გარეთ მყოფნი ვერ მიიღებენ საუკუნო ცხოვრებასა". ამისთჳს ჯერეთ უნდა გვრწამდეს ეკკლესია, კეთილ-მოწიწებით პატივს-ვცემდეთ მას, ვიცნათ, რომ მას შინა მოქმედებს მადლი უფალისა ჩუენისა იესო ქრისტესი, გვიყვარდეს ეკკლესია, ვითარცა დედა თჳსი, დავემორჩილნეთ მას, რომ იგი არს ერთი მხოლოდ დამრიგებელი ჩუენი საქმესა ზედა კეთილსა, განწმედილის გულით მივიღოთ ჰსწავლა მისი, რომელიც გარდამოგვეცემის მის მიერ სჯულიერ დაგინებულ მწყემსთა და მოძღუართა მიერ, მალ-მალე მოვიხილამდეთ საზოგადო ღმრთისა მსახურებასა, ვმონაწილეობდეთ წმიდა საიდუმლოების აღსრულებასებში, ერთი სიტყვით, უმწიკულელად შევინახოთ ყოველნი დაწესებანი და ბრძანებანი წმ. ეკკლესიისანი.

სიმბოლო სარწმუნოებაში ეკკლესია იწოდება; ე რ თ ა დ, ამისთჳს რომ იგი წარმოადგენს ერთს საიდუმლოებითი კორცსა რომლისაც ერთი თავი არს თჳთ უფალი იესო ქრისტე,

მას შინა ერთი სარწმუნოება. ერთი ჰსწავლა, გარდამოცემული უფლისაგან, ერთნი საიდუმლონი, ერთი ღ̂ჳთის-მსახურება და ერთი საგანი—ცხოვნება კაცთა.

*წმიდად, უბიწოდ*, მისთჳს რომ ეკკლესია არს განწმენდილი ჰსწავლითა, ვნებითა და სისხლითა ქრისტე მაცხოვრისათა, და ყოველთჳსაც განიწმინდება ლოცვითა და წმიდა საიდუმლოებითა, ქრისტიანობრივ ეკკლესიაში არიან მრავალნი უხრწნელნი ნაწილნი წმიდათა მოღ̂ჳაწეთა ღ̂ჳთისათა, მრავალნი გამოჩენილნი სასწაულთ-მომქმედნი ხატნი, და ესე ყოველნი მას ნიშვენ, რომ, როგორც ეკკლესია ღ̂ჳთისა არს წმიდა და უბიწო, ეგრეთვე შვილთა თჳსთა შეიქს წმიდად და უბიწოდ შეუგინებელად.

ეკკლესია იწოდება *კათოლიკეთ* ანუ *მსოფლიოდ შეკრებულებად*, მისთჳს რომ მას შინა არს და შეიძლებადცა იყვნენ მორწმუნენი ყოვლისა ტომისა და ხალხისანი, ე. ი. მას, შეიძლება ეკუთნონ ქართჳელნი და ებრაელნი, ფრანგნი და თათარნი, უკეთუ იგინი ირწმუნებენ ქრისტესა და ნათელს-იღებენ სახელითა წმიდისა სამებისათა. უფალმა უბრძანა მოციქულთა თჳსთა ქადაგება სახარებისა *ყოველსა ქჳეყანასა*, განჰსწავლად *ყოველნი წარმართნი* მაცხოვარებითის სარწმუნოებითა და განვრცელებად მისა *ყოველთა კიდეთა ქჳეყანისათა*. მაცხოვარებითი ჰსწავლა უფლისა თჳთვეული კაცისათჳს გასაგონი და მისახვედრია, და შეიცამს თჳს შორის ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და კანონსა ცხოვრებისასა, რომელიც საჭირო არს ცხოვნებისათჳს საზოგადოდ ყოველთა კაცთა.

ეკკლესია ეგრეთვე იწოდება სამოციქულოდ, მისთჳს რომ ბრძანებითა უფლისათა, ეკკლესია განვრცელდა და დამტკიცდა ყოველსა ქჳეყანასა წმიდათ მოციქულთადმი, მღ̂ჳდელთ მთავრობა მისი თჳთ წმიდა მოციქულთ დროდგან უცვალებელად დაიცვის ჭეშმარიტ მონაცვალეთა მისთა—ეპისკოპოსთადმი. ჰსწავლასა წმიდის ეკკლესიისა მოვიღებთ ზოგად წერილთაგან, ზოგად მოციქულთ გარდამოცემათაგან, რომელნიც მთლად და წმიდად დაცულან ეკკლესიისა მიერ, სამღ̂ჳთო-

მსახურება მისი აღსრულდება კანონთა მიერ წმიდათა მოციქულთა.

ი. „აღვიარებ ერთსა ნათლის-ღებასა მოსატევებელად ცოდ-ჳათა.“

წმიდა ეკკლესია შობს, განამტკიცებს, განაძლიერებს და განა-სრულებს კაცთა მომავალის ცხოვრებისათჳს მაცხოვარების საიდუმ-ლოებითა. საიდუმლონი არიან შჳდნი: ნათლისღება, მირონ-ცხება, ზიარება, სინანული, მღჳდელობა, ქორწინება და ზეთის-კურთხება.

სიმბოლო სარწმუნოებაში ითქმება მარტო მხოლოდ ნათლის-ღებისათჳს, მისთჳს, რომ დროსა სიმბოლო სარწმუნოების შედგე-ნისასა სხჳა საიდუმლოებზედ არ იყო შეცილება, ხოლო ნათლის-ღებაზედკი ჰქონდათ ეჭვი, სახელდობრ: ჯერეთ არ უნდა რა ნათელ-იღონ მათ, რომელნიც გადამდგარან ჭეშმარიტის სარწმუნოებიდგან, და კჳალად მოუსურკებიათ და შეერთებულან მართლმადიდებელ ეკ-კლესიისადმი? დაბოლოებისათჳს ამა ეჭვისა, კრებაში დასდვეს ესე, რომ ნათლის-ღება უნდა იყოს ერთი, ე. ი. არა განიმეორებოდეს, როგორათაც არა განიმეორება ხორციელი შობა:

ყოველნი საიდუმლონი დაწესდნენ თჳთ უფლისა იესოს მიერ, და თჳთოეულსა მათგანსა აქჳს თჳსი საკუთარი მაცხოვარებითი ძალი.

აი. „მოველი აღდგომასა მკჳდრეთით.“

ჯერეთ უნდა უეჭველად მოველოდეთ, რომ უკანასკნელსა დღესა სოფლის დასრულებისასა კორცნი ყოველთ გარდაცვალებულთ კაცთა, ყოვლად-შემძლებელის ღჳთის ბრძანებითა, განცხოველდებიან, შეერთდებიან სულებთან და იქმნებიან უკჳდავნი; იმავე წამში ისეთვე სახეს მიიღებენ კორცნი იმა კაცთა, რომელნიც დაესწრობიან ცოც-ხალნი ქრისტეს მოსჳლასა.

აღდგომა მკჳდრეთით იქმნება (არა თუ მარტო ერთისათჳს, არამედ) საზოგადო, გარნა არა ერთნაირი: კორცნი მართალთანი

აღდგებიან დიდებითა და მშვენიერებითა იქმნებიან უხრწნელნი და ნათელ-შემოსილნი; ხოლო ხორცნი ცოდვილთანი, თუმცა იქმნებიან უხრწნელნი, მარამ ბნელნი და უდიდებონი.

იბ, „და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა.“

შემდგომ საზოგადოჲს მკუდართა აღდგომისა, დადგება საუკუნო ცხოვრება, მარამ ეგრეთვე ფრიად განრჩეული მართალთ და ცოდვილთ კაცთათჳს. ვინც ირწმუნა ქრისტე, ნათელს-იღო სახელითა წმიდისა სამებისათა, იცხოვრა ქუეყანასა ზედა ღუთისა და მოყუასთათჳს, ეცადა ღუთის მცნებების წმიდად აღსრულებასა, იგი საზომისაებრ თჳსის კეთილის მოღუაწებითა დასტკბება სამოთხეში ღმერთთან, ანუ ზეცასა სასუფეველში; მისი მეგობარნი იქმნებიან თჳთ წმიდანი ანგელოსნი და ყოველნი წმიდანი. ზეცის სასუფეველში არ იქმნება არცა შრომანი, არცა სნეულებანი, არცა მოხუცებანი, არცა ჭირვეულობანი და არცა მწუხარებანი. მართალნი იქმნებიან დატკბობილნი იმა კეთილითა, რომ ეხლა ჩუენ გამოთქმად არ შეგვიძლიან: რომელი თვალმა არ იხილა ამობს მოციქული პავლე, და ყურმა არა ისმინა და გულსა კაცისასა არა შთახდა, რომელი გაუმზადა ღმერთმა მოყუარეთა თჳსთა (1 კორინ. თ. 11, მ. 9). ესრეთი იქნება ნეტარება მართალთა.

ესეთი არ იქმნება მათ თჳს, რომელთაც არ ირწმუნეს ღმერთი, ანუ თუმცა ირწმუნეს, მაგრამ ცხოვრება თჳსი განატარეს ცოდვაებში. ესრეთნი ცოდვილნი იქნებიან განშორებულნი ღუთის პირისაგან ბნელ საცხოვრებელში ჯოჯოხეთში ადგილსა ბოროტ სულთასა, სადაცა, საზომისაებრ თჳსის ბოროტი საქმეებისა იგინი იქმნებიან საუკუნოდ ტანჯულნი: შესწუამთ მათ გეჰენიის ცეცხლი, სვინიდისი ჰსტანჯამს და დასჯის მათ სულსა. მაშინ ცოდვილნი იგრძნობენ, რომ იგინი მოკლებულ იქმნენ თჳსის განრყვნილის ქცევითა ნეტარებასა ღუთისასა. ესრეთი ტანჯუა, სიტყვისაებრ მოციქულისა, მოელის ყოველთა, რომელნი იქმონენ უსჯულოებასა, ჯოჯოხეთში იქმნებიან მწარე ტი-

რილი და ღრჭენა კბილთა, რომელსაც მალმალე მოგვაგონებს ჩუჱნ სიტყუა ღუთისა (მათ. თ. 22, მ. 13).

მღუდელი იოსებ ელიევი.

ჩყჲტ-სა წელსა აგვისტოს იგ-სა დღესა.
ს. კოილასარი.
ერევნის გუბერნია და უეზდი.

# სარჩევი 1868 წლის ჟურნალისა.


ცხოვრება წმ. დ. მოწამისა ევსტათისა და სახლეულთა მისთა. . 1.
მოთხრობა წმ. იოანე ნათლის-მცემელისათჳს. . . . . . 15.
მოთხრობა ცოდვილისა და მართლისა სიკვდილისათჳს. . . . 21.
ჴსწავლა მეორესა მცნებასა ზედა უფლისასა, მღ. ლ. ტურიევისა. 24.
სხვა და სხვა ამბავი. . . . . . . . . . . . 30.
შობა ქრისტესი (ლექსები) ივ. ლაშხაუროვისა. - . . . 32.
სიკჳდილი წმ. თეოდორასი და ღირსისა ევსევისა. აზნ. ალ. გარსევანოვისა. . . . . . . . . . . . . . . . 34.
მოწყალებისათჳს, მისივე. . . . . . . . . . . 40.
ცხოვრება წმ. მოწამისა დროსიდასი. მისივე. . . . . . 41.
სიტყჳა კვირიაკესა უქლიერისასა, მღ. გრ. ლამბაროვისა. . . 45.
მოძღჳრებანი დიდ მარხვისანი. ის. იორდანოვისა. . . . . 49.
ეპიტაფია, თ. გრ. ორბელიანისა. . . . - . . . . 64.
მოზდოკის ივერიის ხატზედ (ლექს.) მღ. ირ. ელიოზიძისა. . —
საუბარი მინდორში ლოცვისათჳს. მღ. იოს. ელიევისა. . . 65.
სიტყჳა ჭეშმარიტისა სიყვარულისათჳს თავისა თჳსისა, ნ. მთვარელოვისა. . . . . . . . . . . . . . . . 72.
შესხმა ყოვლადუსამღ. ექსარხოსის ევსევისადმი, მღ. ფ. გარბელოვისა. . . . . . . . . . . . . . . . 79.
სწავლა წმ. იოანე ოქროპირისა ოთხშაბათ—პარასკევისათჳს, რუს. ის. იორდანოვისა. . . . . . . . . . . . . 81.
აოხრება წმ. დავით გარეჯის უდაბნოსა, მორჩ. სტ. გძელიევისა. 82.
უცები შეხვედრა სტუდენტისა სოფლის მღჳდელთან და მათი საუბარი, მ. ს. ბ—ვისა. . . . . . . . . . , 85.
საუბარი მცველს ანგელოსზედ. მღ. იოს. ელიევისა. . . . 97.
უცები შეხვედრა სტუდენტისა სოფლის მღჳდელთან და მათი საუბარი (განგრძელება), მღ. ს. ბ—ვისა. . . . . . . . 104.

სჯულის კანონისაგან აღმოწერილობანი. . . . . . . . 114.
მათის იმპერ. დიდებულებაზედ და მათის სიკვდილის განმზრახ-
ველზედ (ლექს.), მღ. ნ, მაღალდაძისა. . . . . . . . 123.
წყალობისადმი (სტიხ იამბიკოდ) თარგ. ა. ტ. . . . . . 127.
სიტყუა მისთჳს, თუ რა მიზეზისა გამო მიეცა სასჯელსა პირველი
იგი ქრ̂სტყანა. ეფრემ ოდიშელიძისა. . . . . . . . . 129.
კაცი. მღუ̂დლის პეტრე ებიტოვისა. . . . . . . . 138.
ჭსჯულის კანონისაგან აღმოწერილობანი (განგრძელება.) . . 141.
განზრახვა საშინელსა სამსჯავროსა ზედა ქრისტესსა. (რუსულით).
მღ. ბესარიონ ზედგინიძისა.. . . . . . . . . . . 147.
ფსალმუნი ზ. (სტიხ. იამბიკოდ.) არხიმ. ტ. . . . . . . 150.
რედაქციისაგან. . . . . . . . . . . . . . 152.
ტკივილით მოგონება თჳსთა ცოდვათა და გოდება მას ზედა,
მღ. ბ. ზედგინიძისა. . . . . . . . . . . . . 153.
სიკვდილისათჳს განზრახვანი, მისივე. . . . . . . . 158.
სჯულის კანონისაგან აღმოწერილობანი. . . . . . . . 162.
დარიგება მშობელთადმი შვილების აღზრდაზედ. გრ. ზედგინიძისა. 169.
ნეკროლოგი, ნ. ცხვედაძისა. . . . . . . . . . 174.
მამაო ჩუ̂ნო (ლექს.), დეკ. პ. წინამძღვაროვისა. . . . . 179.
ღმერთი (დერჟავინით), მ. სან—ძისა. . . . . . . . 181.
სიტყვა აბრაამზედ, ი. გაწერელიასი. . . . . . . . 185.
სჯულის კანონისაგან აღმოწერილობანი. . . . . . . . 192.
ნეტარ იყვნენ, ოდეს გდევნიდენ და გყვედრიდენ, მ. ს. ბ—ვისა. 196.
რედაქციისაგან. . . . . . . . . . . . . . 202.
ყოვლად-სამღუ̂დელო ამვროსი—მქადაგებელი, . რედ. . . 205.
სწავლითნი ქადაგებანი ამვროსი ნეკრესელისა. . . . . . 206.
ქართველთა მეფეთათჳს ლექსთ-წყობილნი მოთხრობანი. . . 268.
სწავლითნი ქადაგებანი ამვროსი ნეკრესელისა. . . . . 269.
მოკლედ ახსნა სიმვოლო სარწმუნოებისა, . მღუ̂დლისა. ელიევისა. 303.

# ОФФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ

## Указы Святѣйшаго Сvнода

*Отъ 14 Сентября 1868 года. По вопросу о выпискѣ Сенатскихъ и Губернскихъ вѣдомостей для духовныхъ учрежденій.*

Святыйшій Правительствующій Сvнодъ слушали предложеніе Господина Исправляющаго должность Сvнодальнаго ОберъПрокурора, отъ 7-го Іюня сего года за № 6446, съ приложеніемъ отпошенія Министра Внутреннихъ дѣлъ за № 121 9, по вопросу о выпискѣ Сенатскихъ и Губернскихъ вѣдомостей для духовныхъ учрежденій. Приказали: Вслѣдствіе возбужденнаго въ Государственномъ Совѣтѣ вопроса объ исключеніи изъ смѣгъ земскихъ повинностей нѣкоторыхъ расходовъ, въ томъ числѣ назначенныхъ на выписку Сенатскихъ и Губернскихъ вѣдомостей для полицейскихъ и другихъ правителъственныхъ учрежденій и церковныхъ причтовъ, Г. Миннетръ Внутреннихъ Дѣлъ обратился къ Господину Испуавлющему должность Оберъ-Прокурора Святѣйшаго Сvнода съ вопросомъ о томъ, должна ли выписка сихъ вѣдомостей признаваться обязательною для Духовныхъ Консисторій и не имѣтся ли въ виду дургихъ какихъ либо учрежденій и лицъ Духовнаго вѣдомства, для коихъ также призналось бы необходимымъ выписывать эти вѣдомости, и на счетъ какихъ источниковъ? Такъ какъ по существующимъ законамъ (Т. II ч. I. Общ. Учр. Губ- ст. 859, 860 и 870) выписка Сенатскихъ и Губеунскихъ вѣдомостей для Духовныхъ Консисторій на счетъ суммъ, отпускаемыхъ на ихъ содержаніе, является обязательною, то Святѣйшій Сvнодъ признаетъ, что Консисторіи и на будущее время,

10

по прежнему порядку, должны выписывать какъ Сенатскія, такъ и Губернскія вѣдомости, на счетъ упомянутаго выше источника. Въ виду же того, что на основаніи Высочайше утвержденнаго, въ 24 день Іюня сего, мнѣнія Государственнато Совѣта, производившійся на выписку Губернскихъ вѣдомостей, для городскихъ и сельскихъ церковныхъ приходовъ отпускъ городскихъ и земскихъ суммъ прекращенъ, Святѣйшій Сѵнодъ, во вниманіи къ скудости денежныхъ средствъ большинства сихъ приходовъ, находитъ достаточнымъ, чтобы на будущее время Губернскія вѣдомости выписывались одними лишь Духовными Благочиніями, съ тѣмъ, чтобы расходъ на сей предметъ относимъ былъ ими на счетъ кошелковой суммы всѣхъ церквей, составляющихъ округъ каждаго Благочинія: о чемъ для должнаго исполненія дать знать по Духовному вѣдомству циркулярными указами

---

*Отъ 14 Сентября 1868 года, объ ограниченіи выдачи разрѣшеній на сборъ подаяній въ С. Петербургѣ.*

Святѣйшій Правительствующій Сѵнодъ слушали предложенныя Господиномъ Исправляющимъ должность Сѵнодальнаго Оберъ-прокурора отъ 3-го минувшаго Іюля, во 1-хъ отношеніе С. Петербургскаго Оберъ Полиціймейстера, отъ 3-го минувшаго Мая за № 8778, о принятіи мѣръ къ ограниченію выдачи со стороны Епархіальныхъ Начальствъ разрѣшеній сборовъ въ здѣшней столицѣ, на церковныя надобности, и во 2-хъ отзывъ по этому предмету Преосвященнаго Ладожскаго, Викарія С. Петербургскаго, отъ 26-го Іюня сего года за № 29,3. *По справкѣ* Приказали: Г-нъ С. Петербургскій Оберъ-Полиціймейстеръ, въ виду значительно увеличившагося въ послѣднее время количества лицъ разныхъ сословій, являющихся въ столицу изъ разныхъ епархій для сбора доброхотныхъ подаяній на церковныя надобности, обратился къ Господину Исправляющему должность Оберъ-Прокурора съ просьбою о принятіи надлежащихъ мѣръ къ возможному ограниченію выдачи, со стороны Епархіальныхъ Начальствъ, разрѣшеній на сборы въ столицахъ.

Вслѣдствіе сего, С Петербургское Епархіальное Начальство постановило разрѣшать одновременно производство въ С. Петербургѣ сборовъ подаяній въ пользу чужихъ епархій, не болѣе какъ ста лицамъ, и изъ нихъ давать дозволеніе только тѣмъ, коимъ выданы книги отъ своихъ Епархіальныхъ Начальствъ по уважительнымъ причинамъ, на точномъ основаніи указа Святѣйшаго Сѵнода отъ 30 Сентября 1856 г. Принимая во вниманіе, что значительное увеличеніе количества лицъ, производящихъ сборы подаяній въ С. Петербургѣ на разныя церковныя надобности, указываетъ на несоблюденіе Епархіальными Начальствами, съ надлежащею точностію, правилъ изложенныхъ въ упомянутомъ выше указѣ, Святѣйшій Сѵнодъ находитъ нужнымъ: 1-е, вновь предписать Епархіальнымъ Преосвященнымъ, чтобы они, при выдачѣ сборныхъ книжекъ лицамъ разныхъ сословій въ своихъ епархіяхъ, строго руководствовались сими правилами и выдавали бы таковыя книжки только въ случаѣ самыхъ крайнихъ и существенныхъ нуждъ церковныхъ; 2-е, о вышеизъясненномъ постановленіи С. Петербургскаго Епархіальнаго Начальства поставить въ извѣстность всѣхъ Преосвященныхъ, для надлежащихъ со стороны ихъ соображеній, какъ вообще при отправленіи въ другія епархіи лицъ, собирающихъ подаянія въ пользу монастырей и церквей, такъ въ особенности при увольненіи въ столицы монашествующихъ и другихъ лицъ духовнаго званія, коимъ поручены сборы подаяній. О чемъ для должнаго исполненія и дать знать по Духовному вѣдомству циркулярными указами.

---

*Отъ 14 Сентября 1868 года, касательно уничтоженія дѣлъ въ Семинарскихъ архивахъ.*

Святѣйшій Правительствующій Сѵнодъ слушали предложеніе Господина Сѵнодальнаго Оберъ-Покурора, отъ 10 Октября 1867 года за № 5296, о разрѣшеніи Саратовскому Семинарскому Правленію уничтожить нѣкоторыя дѣла Семинарскаго архива, по происходящему отъ нихъ стѣсненію въ помѣщеніи Правленія. Между прочимъ, Приказали: Какъ

вопросъ объ уничтоженіи архивныхъ дѣлъ можетъ возникнуть и по другимъ Семинарскимъ Правленіямъ, то дать знать всѣмъ Епархіальнымъ Пресващеннымъ циркулярнымъ указомъ, для объявленія Семинарскимъ Правленіямъ, что: 1) уничтоженіе дѣлъ можетъ быть допущено только въ томъ слчаѣ, когда будутъ составлены подробная историческая записка о той Соминаріи, изъ архива которой предполагается уничтожить дѣла, и точныя и опредѣленыя правила, какіе разряды дѣлъ предполагается сохранить въ архивѣ и какіе уничтожить: 2) въ занятіахъ Коммисій, которыя будутъ учреждаемы для разсмотрѣнія дѣлъ архивовъ, должны принять участіе члены Педагогическихъ Собраній при Семинаріяхъ, которые, безъ всякаго сомнѣнія, будутъ смотрѣть на значеніе дѣлъ съ точки зрѣнія науки и 3) каждое Семинарское Првленіе, которое нашло бы нужнымъ уничтожить дѣла, обязано представить въ Святѣйшій Сνнодъ на разсмотрѣніе историческую записку о Семинаріи, правила, составленыя для руководства Коммисіи и опись дѣлъ, предназначенныхъ къ уничтоженію, съ обозначеніемъ въ ней основаній, почему дѣла признаются незаслуживающими храненія.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ. 30-го Декабря 1868 г. Цензоръ І. Сулхановъ.

Редакторъ-издатель священникъ Георгій Хелидзе.

Къ 10, 11 и 12 № Груз. Д. В. 1868.

# ОГЛАВЛЕНIЕ.


О составленiи церковныхъ библiотекъ. . . . . . . . . . . . . 1.

Списокъ духовныхъ книгъ для составленiя церковныхъ библiотекъ, дополненный и исправленный покойнымъ преосвященнымъ Митрополитомъ Филаретомъ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3.

Данное покойнымъ преосвященнымъ Митрополитомъ Филаретомъ Московской Духовной Консисторiи предписанiе по дѣлу о составленiи церковныхъ библiотекъ. . . . . . . . . . . . . . . . . 5.

Опредѣленiе Свят. Сѵнода объ окончившихъ курсъ воспитанникахъ Академiй... . . . . . . . . . . . . . . . . . 9.

Распоряженiе Епархiальнаго начальства. . . . . . . . . . . 9.

О доставленiи преосвященными копiй со всѣхъ журналовъ какъ съѣздовъ духовенства, такъ семинарскихъ и училищныхъ правленiй по поводу введенiя новыхъ уставовъ духовныхъ семинарiй и училищъ. 11.

Относительно отдачи въ аренду церковныхъ земель. . . . . . 12.

О Высочайше утвержденномъ мнѣнiи Государственнаго совѣта касательно производства суточныхъ денегъ духовнымъ депутатамъ при слѣдствiяхъ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 13.

Относительно выдачи ссудъ и единовременныхъ пособiй по случаю пожара. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 14.

О порядкѣ представленiя къ пенсiямъ лицъ духовнаго званiя за службу по епархiальному вѣдомству. . . . . . . . . . . 17.

Училище дѣвицъ Духовнаго званiя Грузинской Епархiи. . . . 21.

Касательно замѣщенiя учительскихъ мѣстъ въ духовныхъ училищахъ. 24.

О томъ, что всѣ просьбы, кои поступятъ въ Святѣйшiй Сѵнодъ отъ лицъ духовнаго званiя о предоставленiи священноцерковнослужительскихъ мѣстъ за дѣтьми или родственниками ихъ, будутъ оставлены безъ разсмотрѣнiя и отвѣта, какъ явно противныя Высочайше утвержденному, 22 мая 1867 года, мнѣнiю Государственнаго Совѣта. . . . 25.

Касательно методы преподаванiя уроковъ въ духовныхъ семинарiяхъ и училищахъ. . . . . . . . . . . . . . . . . . . 26.

Касательно замѣщенiя наставническихъ мѣстъ въ духовныхъ семинарiяхъ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 29.

Объ освобожденiи изъ монастырей лицъ свѣтскаго званiя и о преданiи ихъ эпитимiи на мѣстѣ жительства. . . . . . . . . . 33.

Инструкцiя временному комитету, учреждаемому по постройкѣ или исправленiю, подрядомъ съ торговъ, зданiй духовно-учебнаго вѣдомства, составленная по опредѣленiю Святѣйшаго Сѵнода 29/30 апрѣля 1868 года. 41.

5/4ч. 12-I 7/311


Относительно возобновленія пенсій священнослужителямъ епархіальнаго вѣдомства. . . . . . . . . . . . . . . . . . 43.

Объ измѣненіи § 7 устава общества возстановленія православнаго христіанства на Кавказѣ. . . . . . . . . . . . . 44.

По вопросу о томъ: въ какой мѣрѣ учрежденіе воскресныхъ школъ согласно съ ученіемъ православной церкви. . . . . . . 46.

О проповѣдяхъ бывшаго профессора ярославской семинаріи Орлова. 48.

По вопросу о выпискѣ Сенатскихъ и Губернскихъ вѣдомостей для духовныхъ учрежденій. . . . . . . . . . . . . . . . 50.

Объ ограниченіи выдачи разрѣшеній на сборъ подаяній въ С. Петербургѣ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 51.

Касательно уничтоженія дѣлъ въ Семинарскихъ архивахъ. . . 52.